ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 15 მარტი, 2018 №62 (7607) ფასი: 50 თეთრი

სერგი კაპანაძე: „რუსეთმა დაგვცინა“

გვ.2

100 ამბავი
15 მარტიდან
მსოფლიო მონარქები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ნიკა გვარამია: „დეკანოზი გიორგი მამალაძე მეუფე დიმიტრიზე და პრეზიდენტ მარგველაშვილზე ძალიან გულნატკენია“

საპატრიარქო: „ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტალღა იწყება“

გვ.3

„ივანიშვილი „ოცნებას“ გააფარჩაკებს და მას ბოკერიას გუნდით ჩაანაცვლებს“

კახა მიქაია: „ბიძინა საქართველოზე ექსპერიმენტების ჩატარებას განაგრძობს“

გვ.3

დიმიტრი ლორთქიფანიძე პოლიტიკიდან მიდის

გვ.4

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა თანამდებობა დატოვა

გვ.2

სამართალი გვ.7

მეტროსადგურ „დიდუბეში“ მატარებლის შეჯახების შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა

მორიგი სისხლიანი დაპირისპირება ზუგდიდში — დაჭრილია არასრულწლოვანი

პროკურორი: „ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენება არის სანდო და გასაზიარებელი“

„ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ალტერნატიულ ექსპერტიზას ელოდებიან“

ეკონომიკა გვ.6

„დედაქალაქში მიწის ნაკვეთის ფასი იზრდება“

პრემიერი: „ჩვენ ვგეგმავთ მცირე ბიზნესის განვითარების მეორე ტალღას — კაპიტალში დახმარებას“

„სითი პარკი“ მერიას პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებაში ადანაშაულებს

ბანკები, სავაჭრო ობიექტები, ლომბარდები ადამიანთა პერსონალურ მონაცემებს უკანონოდ ასაჯაროებენ

ISSN 1987-9385

2 არაბულმა კომპანიამ თბილისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იყიდა

8 ჯიჰადისტები ერთიანდებიან
ყალიბდება ახალი პოსტტერორისტული პეიზაჟი

2 ირაკლი კობახიძე: „ბიძინა ივანიშვილი ჩვენთვის საუკეთესო კანდიდატი იქნებოდა“

6 „ყველაზე დამანგრეველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში“

სერგი კაპანაძე: „რუსეთმა დაგვცინა“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი სერგი კაპანაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობასთან რეზოლუციის ტექსტი ჯერ კიდევ არ არის შეთანხმებული.

თურმე დიალოგი ორმხრივ რეჟიმში უნდა წარიმართოს, რასაც რუსეთი დიდი ხანია ითხოვს საქართველოსგან. ასევე, თურმე ჩვენ ჟენევის შემდეგ რაუნდში კონსტრუქციულები უნდა ვიყოთ. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ჩვენგან ელიან, რომ ჩვენ ძალის არგამოყენების ვალდებულებას არ დავაყენებთ შემდეგ რაუნდზე. ასევე, იყო მინიშნება იმაზე, რომ ახალი რეალობა უნდა აღიაროს საქართველომ. ამ ყველაფრის მერე პრემიერ კვირიკაშვილის განცხადება, რომ ეს ყველაფერი ტოვებს საუბრისთვის სივრცეს, ცოტა უცნაურად მეჩვენება.

– ბატონო სერგი, პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეზოლუციის ტექსტის 95% შეთანხმებულია და მას სჯერა, რომ პარლამენტი ერთ რეზოლუციაზე შეთანხმდება. „ქართულ ოცნებასთან“ მიღწეულია შეთანხმება?

– საპარლამენტო უმრავლესობასთან რეზოლუციის ტექსტთან დაკავშირებით ერთი კვირაა მოლაპარაკებები მიდის, მაგრამ ჯერ არ ვართ შეთანხმებულები. ჩვენი პოზიციაა, რომ იყოს კონკრეტული მექანიზმი, კონკრეტული ინსტრუმენტი ჩადებული. ჩვენ მოვითხოვთ, რომ „ოთხოზორიატატუნაშვილის სიის“ ასახვა მოხდეს რეზოლუციის ტექსტში. ეს ვერსია მიწოდებული გვაქვს საპარლამენტო უმრავლესობისთვის და ახლა პასუხს ველოდებით როგორც ამ ვერსიასთან, ისე შეხვედრასთან დაკავშირებით.

– რატომ აჭიანურებს საპარლამენტო უმრავლესობა რეზოლუციის მიღებას, ის უფრო რბილი ტექსტის მომხრეა?

– ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არის ის, რომ რეზოლუცია უნდა მიიღოს პარლამენტმა და ამ რეზოლუციის ტექსტი უნდა იყოს ძლიერი და კონკრეტულ ინსტრუმენტებს უნდა იძლეოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არასწორი და არაადეკვატური იქნება ასეთი რეზოლუციის მიღება. ამიტომ არის, რომ სწორედ ამ კონტექსტში ვესაუბრებით უმრავლესობას და მისგან ველით კონკრეტულ რეაქციებს. როდესაც გვეცოდინება უმრავლესობის პასუხი, მერე უკვე შეგვეძლება გავაკეთოთ ზუსტი შეფასებები, სად ვართ და საით მივდივართ.

– პრემიერი გამოეხმაურა რუსეთის პასუხს მის მიმართვაზე და განაცხადა, რომ რუსეთის პასუხი საუბრისთვის სივრცეს ტოვებს. რას იტყვით, ეთანხმებით?

– მე ვერ დავინახე რუსეთის ამ პასუხში ვერანაირი სივრცე. ვერც დიალოგისთვის დავინახე სივრცე და საერთოდ ვერანაირი სივრცე ვერ დავინახე რაიმე პოზიტივისთვის. პირიქით, რუსეთის განცხადება, ერთი მხრივ, შეურაცხმყოფელი, მეორე მხრივ, გარკვეულწილად დამცინავიც კი იყო. ასევე აღსანიშნავია, მაღალი დონის განცხადებაზე საპასუხო განცხადება რა მინიმალურ დონეზე გაკეთდა. ეს კარგად მეტყველებს რუსეთის დამოკიდებულებაზე.

– დიპლომატიაში აქვს მნიშვნელობა, თუ რა დონეზე გაკეთდა საპასუხო განცხადება?

– ბუნებრივია. თუმცა, ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარი ეს არ იყო, მთავარი იყო ის, თუ რა გვიპასუხეს და რა გზავნილები იყო.

– რა გზავნილები იყო?

– თურმე დიალოგი ორმხრივ რეჟიმში უნდა წარიმართოს, რასაც რუსეთი დიდი ხანია ითხოვს საქართველოსგან. ასევე, თურმე ჩვენ ჟენევის შემდეგ რაუნდში კონსტრუქციულები უნდა ვიყოთ. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ჩვენგან ელიან, რომ ჩვენ ძალის არგამოყენების ვალდებულებას არ დავაყენებთ შემდეგ რაუნდზე. ასევე, იყო მინიშნება იმაზე, რომ ახალი რეალობა უნდა აღიაროს საქართველომ. ამ ყველაფრის მერე პრემიერ კვირიკაშვილის განცხადება, რომ ეს ყველაფერი ტოვებს საუბრისთვის სივრცეს, ცოტა უცნაურად მეჩვენება.

– საგარეო საქმეთა მინისტრმა განმარტებები გააკეთა პრემიერის პოზიციასთან დაკავშირებით. ჯანელიძემ განაცხადა, რომ ჟენევაში მოლაპარაკებების მორიგ რაუნდში პრემიერ კვირიკაშვილი სულაც არ აპირებდა ჩასვლას.

– ჯერჯერობით არსებულ ფორმატში პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა ისედაც არ იგულისხმება. თუ გვინდა მაღალი დონის ჩართულობა ამ მოლაპარაკებებში, ამას არავინ გვიშლის, ეს ჩვენი სუვერენული უფლებაა. აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ პრემიერი ჩავიდეს თუ არ ჩავიდეს ჟენევაში, თუ ეს არის შეთავაზება, ეს ცოტა უცნაური შეთავაზებაა. მარტივი ამბავია, ადგეს და ჩავიდეს. როგორც ვხვდები, საუბარი არის იმაზე, რომ უფრო მაღალი დონის საერთაშორისო ფორმატი შეიქმნას, მაგალითად „ნორმანდიის ოთხეული“-ს მსგავსი, როგორც უკრაინის შემთხვევაში არსებობს. თუმცა, ამაზეც არ საუბრობენ ღიად, ამიტომ გაუგებარია. მხოლოდ გაურკვევლობის შთაბეჭდილება რჩება და სრულიად კონტრპროდუქტიულია, ყველა თავის ინტერპრეტაციას ახდენს, მათ შორის რუსეთიც.

ამიტომ, კარგი იქნება, თუ კონკრეტულად იტყვის პრემიერი, რა უნდა. პირდაპირი დიალოგი ცხინვალთან და სოხუმთან, რასაც რუსეთი გვთავაზობს და შემდეგ ჟენევის ფორმატის შეცვლა ჩვენს ინტერესებში ნამდვილად არ არის.

– რა იყო პრემიერის ამ განცხადებების მიზეზი – ის, რომ მას ტატუნაშვილის ცხედრის გადმოუცემლობა აწუხებს თუ კიდევ შეიძლება სხვა მიზეზი იყოს?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, რატომაც გადაწყვიტა ეს განცხადებები გაეკეთებინა, გეუბნებით, რომ ქვეყნისთვის დამაზიანებელი იყო.

– საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამ ბოლო დღეების განმავლობაში ოპოზიცია სრულიად უპასუხისმგებლოდ იქცეოდა. რას უპასუხებთ?

– ამ ბოლო დღეების განმავლობაში, სამწუხაროდ, სწორედ ხელისუფლება იქცეოდა უპასუხისმგებლოდ და არა – ოპოზიცია.

ირაკლი კობახიძე: „ბიძინა ივანიშვილი ჩვენთვის საუკეთესო კანდიდატი იქნებოდა“

– გამომდინარე იქიდან, რომ ბიძინა ივანიშვილის სურვილი იყო პოლიტიკისგან დისტანცირება, ის, ბუნებრივია, თავად არ განიხილავს ამ პოსტზე [იგულისხმება საპრეზიდენტო არჩევნებში მისი კანდიდატურა], თუმცა, მე შემიძლია გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩვენთვის იქნებოდა საუკეთესო კანდიდატი, ჩვენი საარჩევნო ამოცანებიდან, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ტელეკომპანია „პირველის“ გადაცემა „რეაქციაში“ ისაუბრა.

ირაკლი კობახიძემ იქვე დასძინა, რომ ჯერჯერობით, მმართველ გუნდს კონსულტაციები კანდიდატურის შესარჩევად არ დაუწყია, თუმცა, პირადად ის ქალ კანდიდატს მიესალმება.

2018 წლის ოქტომბერში საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით, 2023 წელს პრეზიდენტს ხალხი პირდაპირი წესით ვეღარ აირჩევს. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეები პირდაპირი წესით წელს ბოლოჯერ აირჩევენ.

შალვა ნათელაშვილი: „რატომ სდუმან ოსი ეროვნების დეპუტატები ლერი ხაბელოვი და ბიძინას ქისაზე გამოკიდებული ხაბარელი?“

რატომ სდუმან საქართველოს პარლამენტში ოსი ეროვნების დეპუტატები ლერი ხაბელოვი და შოთა ხაბარელი – ამ კითხვას „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის საკითხთან დაკავშირებით სვამს:

– მაინტერესებს, იმ უფლის საწინააღმდეგო მარაზმზე, რაც ხდება ცხინვალში, არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობასთან და მისი ცხედრის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რატომ სდუმან საქართველოს პარლამენტში ოსი ეროვნების დეპუტატები, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და ასევე ბიძინას ქისაზე გამოკიდებული ხაბარელი. მართალია, ვიცით მათი აზრი, რომ ომი თურმე ჩვენ დაგვიწყია და ჯავიდან მხოლოდ ვარდებს გვესროდნენ, მაგრამ მაინც საინტერესოა, ამჯერადაც თუ უჭერენ თავის თვისტომთ ანტიადამიანურ ქმედებაში მხარს? – წერს შალვა ნათელაშვილი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა თანამდებობა დატოვა

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა თანამდებობა დატოვა. თამარ ბაგრატიამ ამის შესახებ ცოტა ხნის წინ საკუთარი ფეისბუქის გვერდზე დაწერა.

– მეგობრებო, ჩემი პირადი განცხადების საფუძველზე დღეს ვტოვებ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის თანამდებობას. თითქმის სამი წლის განმავლობაში აქ გავატარე ძალიან კარგი და ნაყოფიერი, ამავე დროს რთული წელიწადი.

ჩემი სააგენტოს უფროსობიდან წასვლის მიზეზი, ბუნებრივია, არ არის ზედაპირული, თავის თავში მოიცავს ბევრ სიღრმისეულ მიზეზს, რომელთა შესახებ უფრო ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებ.

დამერწმუნეთ, მე მუდამ ვიქნები ჩემი ჩემი ქვეყნისა და გარემოს დაცვის სადარაჯოზე და სტატუსი/სტატუსის არქონა ხელს ვერ შემიშლის ჩემი პრინციპების გატარებასა და იმის მიღწევაში, რომ მომავალ თაობებს უკეთესი გარემო დავუტოვოთ.

აქვე მადლობა მინდა ვუთხრა ყველა ჩემს თანამშრომელს, ჩვენი ორგანიზაციის პარტნიორს, კეთილისმსურველს, ვინც მგულშემატკივრობდა და ჩემს გვერდით იდგა, – წერს თამარ ბაგრატია.

არაბულმა კომპანიამ თბილისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იყიდა

თბილისში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის N12-ში (ყოფილი ელბაქიძის ქუჩა) მდებარე შენობის ნაწილი – ღვინის სარდაფი და პირველი სართულის ფართი, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, არაბთა საემიროებში რეგისტრირებული კომპანიის შვილობილმა საწარმომ – შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯიამ“ იყიდა.

აუქციონი აღნიშნული შენობის ნაწილის – 403.58 კვ. სარდაფისა და პირველი სართულის 119.67 კვ.მ ფართობის პრივატიზების მიზნით სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2018 წლის 27 თებერვალს გამოაცხადა. ქონების საწყისი ღირებულება 200 000 ლარით იყო განსაზღვრული.

აუქციონში 3 პრეტენდენტი მონაწილეობდა, გამარჯვებულად კი შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია“ გამოცხადდა, რომლის შეთავაზებული ფასი 1 648 000 ლარია. გამარჯვებულმა კომპანიამ ეს თანხა ხელშეკრულების დადებიდან 30 დღეში უნდა გადაიხადოს, საინვესტიციო ან სხვა დამატებითი ვალდებულება კი მას არ ეკისრება.

კომპანია „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია“ 2017 წლის 15 მარტს არის რეგისტრირებული. მისი 100% წილის მესაკუთრეა არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული კომპანია „Global Victory Investments Limited“, ხოლო დირექტორი – რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ირაკლი ხუჭუა.

რეგინფო

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი „ოცნებას“ გააფარჩაკებს და მას ბოკერიას გუნდით ჩაანაცვლებს“

შორენა მარსაგიშვილი

ელოდება თუ არა საქართველოს თხილის და სიმინდის რევოლუცია, რატომ გაიზიარებს „ქართული ოცნება“ ნაციონალების ბედს, რა ექსპერიმენტებს ატარებს ივანიშვილი, რატომ აკეთებენ სულელურ განცხადებებს ხელისუფლების წარმომადგენლები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.

– თქვენთან ბოლო პერიოდში სულ ფაროსანაზე გვიწევს საუბარი და ახლაც მასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. სოფლის მეურნეობის მინისტრმა მორიგი სასწაული შემოგვთავაზა და თქვა, რომ ფაროსანა პროტეინების წყაროა.

– მანამდე გვითხრა, ჩვეულებრივი მწერიაო. ახლა ამბობს, ფაროსანა პროტეინის წყაროა და შეუძლიათ ჭამონ ქათმებმა, ინდაურებმა. ისიც დაამატა, რაც შეეხება ამ ფრინველის ხორცის ვარგისიანობას, მის სუნს, ეს ინდივიდუალური აღქმის საგანიაო.

– ეს ფაროსანა თუ პროტეინების წყაროა, მასთან საბრძოლველად რატომ გამოყვეს 50 მილიონი?

– რა ვიცი, ეგ მინისტრს უნდა ჰკითხოთ და პასუხად მორიგ სისულელეს მივიღებთ. სისულელეები ისედაც არ აკლია მაგას, რანაირად შეიძლება იმის თქმა, ფაროსანა პროტეინების წყაროაო.

ხედავთ, ფაროსანას დაგემოვნების და ორგანიზმის პროტეინებით გამდიდრების რა ორიგინალური მეთოდი შემოგვთავაზა მშობლიურმა ხელისუფლებამ?! თანაც, ფაროსანადაგემოვნებულ ქათმის ან ინდაურის ხორცს რომ მივირთმევთ, ჩვენი ორგანიზმის ინდივიდუალურობასაც მარტივად დავადგენთ და მოსალოდნელი რისკების პრევენციასაც შეძლებისდაგვარად განვახორციელებთ.

რისკები გაინტერესებთ? კი ბატონო, უბრალოდ, შეიძლება დაგვემართოს ფაღარათი. ერთი სიტყვით, სანამ ჩვენ თავზე ვიგემებდეთ ფაროსანას დაგემოვნების ორიგინალური მეთოდის შედეგებს, უმჯობესი იქნება, ეს პროცედურა ჯერ ხელისუფლებამ საკუთარ თავზე გამოსცადოს.

თუ ხელისუფლებას კუჭი აეშალა, მაშინ ჩვენი ტ....წიანი ხელისუფლებისადმი სოლიდარობის ნიშნად, ჩვენს რიგებშიც აღმოჩნდებიან მისი გულმხურვალე მხარდამჭერები და ხელისუფლებას ამ გასაჭირის ჟამს მარტო არ დატოვებენ... ნებაყოფლობით გაიზიარებენ მის ბედს.

– თქვენი აზრით, რატომ აკეთებს ხელისუფლება ასეთ განცხადებებს? ხალხს ეღადავებიან?

– წარმოდგენა არა აქვთ არაფერზე და მაგიტომ. საღადაოები თავად არიან. ყოველი მათი განცხადება საშინელებაა.

– ხელისუფლებამ მავნებელთან საბრძოლველად საინფორმაციო ომის წარმოება გადაწყვიტა და ამისთვის 1.200.000 ლარი გამოყო. ამაზე რას იტყვით?

– საინფორმაციო ომი ფაროსანას მოგებული აქვს. ყველას მისი სახელი აკერია პირზე. კარგად დაიმკვიდრა ადგილი და ეუბნება ხელისუფლებას, მოდით და დამბრიდეთო. მათ კი განცხადებების გაკეთების მეტი არაფერი შეუძლიათ. აკეთებენ სულელურ განცხადებებს. შესაძლოა, ეს არის საინფორმაციო ომი – უნდათ, რომ მავნებელი სიცილით მოკლან.

– სულ ცოტა ხნის წინ ხალხი მეოცნებეთა არაადეკვატურ განცხადებებზე ბრაზდებოდა. ახლა კი ხალხი იცინის. როგორც ამბობენ, როცა ხალხი მთავრობას დასცინის, ეს უკვე მის დასასრულს ნიშნავს. ხალხის ეს სიცილი მიუთითებს თუ არა იმაზე, რომ საოცნებო ხელისუფლება მოღვაწეობას ასრულებს?

– ვიდრე მაგათ მომავალზე გეტყოდეთ, ხალხის მდგომარეობაზე მოგახსენებთ. მოსახლეობა კი დასცინის ხელისუფლებას, მაგრამ თავად ძალიან მძიმე დღეშია. არაერთხელ გითხარით, რომ სამეგრელოსა და გურიაში მოსახლეობის შემოსავლის ერთადერთი წყარო თხილი და სიმინდია. მავნებელმა ერთიც გაანადგურა და მეორეც. წელს კიდევ უფრო მძიმედ იქნება საქმე. ხალხი ფაქტობრივად მშიერი რჩება.

კახა მიქაია: „ბიძინა საქართველოზე ექსპერიმენტების ჩატარებას განაგრძობს“



ერთი ჩემი ნაცნობი სეზონზე 5 ტონა თხილს კრეფდა. გასულ წელს ფაროსანამ მოსავალი მთლიანად გაუნადგურა და მხოლოდ 250 კილოგრამი თხილი დაკრიფეს. ეს თხილი ჩააბარა და ის თანხა, რაც აიღო, მუშებს გადაუხადა. თავად მშიერი დარჩა. ასეთ დღეშია ძალიან ბევრი ოჯახი.

ხალხი გამწარებულია და მშიერი. მშიერ ხალხს კი ისეთი რამის გაკეთება შეუძლია, რასაც „ქართული ოცნება“ ვერ წარმოიდგენს. ზევით იმას ვამბობდით, რომ ხალხი უკვე იცინის. ეს სიცილი „ოცნებისთვის“ ძალიან ცუდად დასრულდება. მათ სასაცილოდ აღარ ექნებათ საქმე. რატომღაც მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ პროცესს ხელს უწყობს.

– რა პროცესს უწყობს ხელს ივანიშვილი?

– იმას, რომ „ოცნების“ ლიდერებმა, რაც შეიძლება მეტი სისულელე თქვან და გააკეთონ.

– არის მოსაზრება, რომ ის მათი ქმედებების შესახებ საქმის კურსში ბოლომდე არ არის.

– გამორიცხულია. რაღაც პატარა ამბები შეიძლება არ იცის, მაგრამ ძირითადი ყველაფერი კარგად იცის. დარწმუნებული ვარ, ის შეგნებულად არჩევს ისეთ ხალხს, ვისაც სისულელეების კეთებისკენ აქვს მიდრეკილება.

– ასეთი ხალხი რაში სჭირდება?

– მათ გარემოცვაში თავს კარგად გრძნობს. ამ ადამიანებზე კაიფობს და ექსპერიმენტს ატარებს. მას მოსწონს ეს პროცესი.

– ექსპერიმენტს ატარებსო და ის არ აწუხებს, ყველა მას რომ აგინებს?

– ეტყობა, არ აწუხებს. მას ალბათ „ოცნების“ ჩაძირვა სურს და ამიტომ მიუშვა ესენი თავის ნებაზე. ისინიც ჭაობის ფსკერზე არიან უკვე.

– ლიდერს არ ეშინია, რომ ფსკერზე მყოფი „ოცნება“ მასაც ჩაითრევს?

– არ ეშინია. ივანიშვილი არაა ის ადამიანი, ვიღაცას ფსკერზე ჩაეთრევინოს. მით უმეტეს, მის მიერ შექმნილ გუნდს. ის მაქსიმალურად ცდილობს ამ ძალის გასვრას და როცა ხალხს ყელში ამოუვა „ოცნება“, მხსნელად მოგვევლინება და ახალ პარტიას შექმნის.

– თქვენი აზრით, ამიტომ არის ახლა ჩუმად ივანიშვილი?

– შეიძლება ახლა კაიფობს ამათზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახალი გუნდის ფორმირებაზე მუშაობს, ძველს კი სრულად აფარჩაკებს.

– რომელი ძალით შეიძლება ჩაანაცვლოს „ქართული ოცნება“?

– ბოკერიას გუნდით. იტყვის ბიძინა და ხალხს შეუყვარდება ბოკერია.

– ასე იოლი იქნება ბოკერიას შეყვარება?

– სადაც ფაროსანაზე გვითხრეს, პროტეინების წყაროაო, იქ იმაში ვერ დაგვაჯერებენ, რომ ბოკერია დემოკრატიის წყაროა?! ხალხიც დაიჯერებს, ცოტა ბოკერიასმაგვარია „ოცნებაში“?

მინდა გავახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ ივანიშვილი წლების მანძილზე კვებავდა ნაციონალურ მოძრაობას. მერე ეს ყელში ამოუვიდა და ახალი გუნდის შექმნა გადაწყვიტა. მანამდე ყოფილი ხელისუფლება სრულად გააფარჩაკა. ახლაც იგივეს აკეთებს – ის საქართველოზე ექსპერიმენტების ჩატარებას განაგრძობს.

ნიკა გვარამია: „დეკანოზი გიორგი მამალაძე მეუფე დიმიტრიზე და პრეზიდენტ მარგველაშვილზე ძალიან გულნატკენია“

შორენა მარსაგიშვილი

საპატრიარქო: „ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტალღა იწყება“

საქართველოს საპატრიარქოს გარშემო მორიგი სკანდალი გორდება. დეკანოზ გიორგი მამალაძის ახალმა ადვოკატმა, ნიკა გვარამიამ დააანონსა, რომ საზოგადოებას ციანიდის საქმეზე ბევრი ახალი სკანდალი ელოდება.

ეს განცხადება გვარამიამ დეკანოზ გიორგი მამალაძესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. შეხვედრა მატროსოვზე 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და, როგორც გვარამია ამბობს, ისეთი რაღაცები გაიგო, რომ ყბა ჩამოუვარდა.

გვარამიას განცხადების მეორე დღეს საქართველოს საპატრიარქოში საგანგებო ბრიფინგი ჩაინიშნა, სადაც მამა მიქაელ ბოტკოველმა საგანგებო განცხადება გააკეთა.

მისი განცხადებით, ეკლესიის მიმართ მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს. მამა მიქაელის თქმითვე, ამ კამპანიამ ჯერ-ჯერობით შედეგს ვერ მიაღწია.

– ეკლესიასთან ბრძოლა ყოველთვის მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, მაგრამ ბოლო პერიოდის მოვლენებმა აჩვენა, რომ პროცესები მიზანმიმართულ მწვავე სახეს იღებს, რისი გამოვლინებაცაა თუნდაც 25 მილიონის და ჯიპების თემა. საარჩევნო კამპანიის მთელი პერიოდის მანძილზე რესპუბლიკური პარტიის მიერ გაკეთებული განცხადებები და, რა თქმა უნდა, ციანიდის საქმე.

რატომ ხდება ეს? გარკვეული ძალებისთვის ყოვლად მიუღებელია ჩვენი ეკლესიის და კათოლიკოს-პატრიარქის მაღალი ავტორიტეტი და რეიტინგი. მათთვის ასევე მიუღებელია, რომ ეკლესია იცავს ოჯახის სიწმინდეს, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ და ტრადიციულ ღირებულებებს, ზრუნავს მომავალი თაობის სწორად აღზრდისათვის. მიუღებელია, რომ ეკლესია ეწინააღმდეგება ლგბტ პირთა ცხოვრების წესის ნორმად გამოცხადებას, პროტესტს უცხადებს ლიბერალიზაციის არასწორ სახიფათო ფორმებს და აზარტული თამაშების პროპაგანდას. რომ იგი იღწვის წმინდა მამათა მიერ დადგენილ კანონთა შესაბამისად მართლმადიდებლური სწავლების დაცვისათვის და ა.შ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიდია მცდელობა იმისა, ეკლესია ჩართონ და გამოიყენონ პოლიტიკურ თამაშებში, – აცხადებს მამა მიქაელი.

მისივე თქმით, ამ კამპანიამ თავის შედეგს ჯერ ვერ მიაღწია და გარკვეული ძალები დისკრედიტაციის ახალ ტალღას იწყებენ. მამა მიქაელი არ გამორიცხავს, რომ ახალი ტალღა უმაღლეს იერარქსაც შეეხოს.

– როგორც ჩანს, აქამდე განხორციელებულმა ქმედებებმა ზოგიერთისათვის სასურველი შედეგი მაინც ვერ გამოიღო და ამიტომაც, ჩვენი ინფორმაციით, იგეგმება დისკრედიტაციის ახალი ტალღის აგორება და არ არის გამორიცხული, ბინძური კამპანიის წარმოება განხორციელდეს უმაღლესი იერარქის მიმართაც და ამაში სასულიერო პირებიც იქნან გამოყენებული, – ამბობს მიქაელ ბოტკოველი.

ის საზოგადოებას მოუწოდებს, არ აჰყვეს ამ პროვოკაციას. ამბობს, რომ ყველაფერს მალე მოეფინება ნათელი.

– მივმართავთ ყველას, ვისაც გული შესტკივა ეკლესიისათვის, გამოიჩინონ კეთილგონიერება და არ აყვნენ ცილისმწამებლებს, პროვოკაციებსა და მიზანმიმართულ ბოროტ ქმედებებს. ვფიქრობთ, მალე გაირკვევა, სინამდვილეში ვის რა მიზანი ამოძრავებს და რას ემსახურება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კი, უფლის მადლით, იყო, არის და იქნება ღვთისა და ერის სამსახურში და მიუხედავად დიდი ზეწოლისა, ქვეყნისა და ხალხისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ზრუნვას არასოდეს შეწყვეტს. განხორციელებული შემოტევები კი მას უფრო განამტკიცებს და გააძლიერებს, – აღნიშნა მამა მიქაელმა.

ახლა რაც შეეხება ნიკა გვარამიას განცხადებებს. გადაცემა არჩევანში მან თქვა, რომ ციანიდის საქმეში ბევრი სკანდალური სიახლე იქნება. მისი თქმით, ამ საქმისთვის სახელმწიფო გადატრიალების მიბმაც იგეგმებოდა.

ნიკა გვარამია ამბობს, რომ მამა გიორგი მამალაძე დაუპირისპირდა სა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დიმიტრი ლორთქიფანიძე პოლიტიკიდან მიდის

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პოლიტიკიდან წავიდა, პოლიტიკაში ცოტა ხნით ტაიმ-აუტს იღებს და სამოქალაქო სექტორში ინაცვლებს. თუმცა, მისთვის ყველა ის საკითხი აქტუალურია, რაც დღეს ქვეყანას აწუხებს. „ახალი თაობა“ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან ინტერვიუს გთავაზობთ.

– ბატონო დიმიტრი, რატომ აიღეთ ტაიმ-აუტი? თქვენი ახალი ამპლუა უფლებას გაძლევთ ვისაუბროთ იმ ვითარებაზე, რაც ახლა ვითარდება რუსეთსა და საქართველოს შორის?

– მე ვიღებ ტაიმ-აუტს, რათა ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ განვავითარო ის აქტივობები, რომელიც არ მაკლდა ამ წლების განმავლობაში. ყოველთვის ვრჩებოდი დამოუკიდებელი ხაზის გამტარებლად იმ პოლიტიკურ კოალიციებსა თუ კონგლომერატებში, რომელშიც მიწევდა მოქმედება, მათ შორის დემოკრატიულ მოძრაობასთანაც. დღესდღეობით ქართულ მოპოლიტიკურ სპექტრში მნიშვნელოვნად შეიცვალა მოცემულობა. შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება.

– რა თვალსაზრისით?

– პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ

ნდობის თვალსაზრისით. წინა პლანზე გამოვიდა ეროვნული ინტერესის განმსაზღვრელი ინიციატივები, რომლის საკმაო დეფიციტი შეიმჩნევა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ვინაიდან პოლიტიკური სპექტრი, პრაქტიკულად, არის ამა თუ იმ კონიუნქტურის ტყვეობაში.

სამწუხაროდ. ქართული, ეროვნული ინტერესის გატარება არ ხდება, რაც პოლიტიკური სპექტრისადმი საზოგადოების უნდობლობას წარმოშობს. შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება გადავინაცვლო სხვა სფეროში, როგორც ერთმა ინდივიდმა, პირმა, რომელსაც გააჩნია გარკვეული ცოდნა და გამოცდილება პოლიტიკაში მოქმედებებისა, საპარლამენტო ცხოვრების, ადამიანის უფლებების ბუნების დაცვის მიმართულებით. დღეს არავინ საუბრობს დეოკუპაციაზე და დეოკუპაციის კონცეფციის შექმნაზე, რაც ტაბუირებული თემაა.

ოკუპაციის საკითხზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვითარების შეცვლაზე, დევნილთა დაბრუნების საკითხებზე არანაირი მოლაპარაკებები, არანაირი საუბრები არ მიმდინარეობს. არც დაინტერესებული საპარლამენტო ოპოზიცია საუბრობს ამაზე. ამ შემთხვევაში ჩემი ინტერესია სახალხო დიპლომატიის განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

მათ შორის, რუსეთის ფედერაციაში, ვინაიდან იქ ჩვენ მილიონიანი დიასპორა გვყავს და ჩვენი ხელისუფლების მიერ, პრაქტიკულად, მიტოვებულია. მათ მხარდაჭერა სჭირდებათ. ამ ურთიერთობებს განვითარება უნდა. დედა სამშობლოს არ უნდა მოწყდეს არც ერთი ქართველი ემიგრანტი, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება. შესაბამისად, საზოგადოებრივ სფეროში ძალიან ბევრი საკითხია დაგროვილი, რომელსაც სჭირდება მიხედვა. ამიტომ გადავწყვიტე, სწორედ საზოგადოებრივი აქტივობით დავკავდე.

– პოლიტიკამ, პოლიტიკურ კონგლომერატებსა და კოალიციებთან თანამშრომლობამ ხომ არ დაგაზარალათ?

– ბოლო 12 წლის განმავლობაში ერთი დღე არ ვყოფილვარ აქტიური პოლიტიკური ცხოვრების გარეშე. პოლიტიკამ არა თუ არ დამაზარალა, არამედ პირიქით, შემძინა ძალიან ბევრი თვისება, ძალიან დიდი გამოცდილება შემდგომში საქმიანობის გაგრძელებისთვის, რასაც გამოვიყენებ აქტიურად და პრაგმატულად.

– თქვენ ბრძანეთ, დეოკუპაციის საკითხზე მოლაპარაკებები არ მიმდინარეობსო. ახლახან პრემიერის მიერ რუსეთის მიოსამართით გაკეთებული განცხადება და რუსეთის პასუხი მოლაპარაკების სივრცეს არ ქმნის?

– პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის პასუხი დაგვიანებული იყო. ბევრად ადრე უნდა გასცემოდა პასუხი ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებს, როგორიც რუსეთის პრეზიდენტის მიერ გამოთქმული მზაობა იყო პირდაპირი დიალოგის დაწყების შესახებ საქართველოს პრეზიდენტთან, ან საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. მიუხედავად ამისა, ბატონ კვირიკაშვილის განცხადება მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი და ახალი შესაძლებლობების გაჩენის სივრცეა.

ახალი შესაძლებლობების გაჩენის სივრცეში, პირველ რიგში, სახალხო დიპლომატიის განვითარების შესაძლებლობასაც ვგულისხმობ. როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირი პირადად გამოთქვამს მზაობას, რომ მკვდრადშობილი ჟენევის ფორმატი განახლდეს პირველ პირებს შორის მოლაპარაკების გზით, ეს არის სწორედ ის, რასაც საზოგადოება დიდი ხანია ელის. პრემიერის განცხადება იქნება ძალიან სერიოზული ბიძგის მიმცემი საზოგადოებრივი აქტივობების შემდგომი განვითარებისთვის.

ნიკა გვარამია: „დეკანოზი გიორგი მამალაძე მეუფე დიმიტრიზე და პრეზიდენტ მარგველაშვილზე ძალიან გულნატკენია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

პატრიარქოს ყველაზე გავლენიან კლანს, რომელიც სუს-ის მფარველობის ქვეშ იმყოფება. გვარამიას თქმითვე, ეს დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც დეკანოზმა საპატრიარქოს ფინანსების შესწავლა დაიწყო.

გვარამიას თქმით, დეკანოზი ძალიან გულნატკენია მეუფე დიმიტრიზე, რომელმაც პატიმრობაში მყოფი სასულიერო პირი ძალიან გვიან მოინახულა. არადა დეკანოზი მასთან შეხვედრას დაკავების დღიდან ითხოვდა.

შეხვედრა რამდენიმე თვის შემდეგ შედგა და, როგორც დეკანოზმა გვარამიას უთხრა, საუბარი საკმაოდ მძიმე იყო.

– მან მითხრა, რომ ამ სასჯელზე უფრო მძიმედ გადასატანი ჩემთვის გახდა ის, რაც მე აღვიქვი პერსონალურ ღალატად. ერთი, სრული უყურადღებობა და პირიქით, აგრესიული დამოკიდებულება მეუფე დიმიტრის მხრიდან. ეს არის აჭარის ეპისკოპოსი, რომლის გამოც მე მნიშვნელოვანწილად ვიმყოფები ციხეშიო. მას არც დაუმალავს, რომ მას პირდაპირ სთხოვდნენ ხელის დადებას მეუფე დიმიტრიზე და მის სიძეზე. მე ეს დანამდვილებით ვიცი მისი სიძისგანაც და მან ამაზე უარი თქვა და პრაქტიკულად

გადაარჩინა ეს ადამიანები. მე მან მითხრა, რომ პრაქტიკულად გაოგნებული ვარ, რაც ამას მოჰყვა მეუფე დიმიტრის მხრიდანო, – აღნიშნა გვარამიამ.

მისივე თქმით, მეორე, ვისზეც დეკანოზს ასეთივე მძიმე რეაქცია ჰქონდა, არის საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც მამა გიორგის შეწყალებაზე უარი უთხრა.

გვარამიას თქმით, დეკანოზი მამალაძე არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტიც ჩართულია მის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში.

მანვე „არჩევანის“ ეთერიდან საქართველოს პრეზიდენტს მიმართა და დეკანოზის საქმის ახალ დეტალებთან დაკავშირებით შეხვედრისკენ მოუწოდა.

– მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს, რომ მესაუბროს ამ თემაზე. მე მაქვს შესაძლებლობა, პირადადაც დავუკავშირდე და ვთხოვო შეხვედრა, მაგრამ არ მინდა, რომ ეს საჯაროდ არ გავაკეთო. მე მინდა, რომ საჯაროდ ვთხოვო მას შეხვედრა და მოვუყვე მას ყველა დეტალი ამასთან დაკავშირებით. თუმცა, არსებობს მეორე გამოსავალიც, მას ჰყავს ისეთი ადამიანები სამსახურში, რომლებიც შეძლებენ შეხვედრას მამალაძესთან და ადეკვატური ინფორმაციის გამოტანას, – ამბობს მამა გიორგის ახალი ადვოკატი.

ნიკა გვარამია ყველა დეტალზე ვერ საუბრობს და ამბობს, რომ ამ ეტაპზე მას არა აქვს მამა გიორგისგან თანხმობა, თუმცა განმარტავს, რომ საჯაროობის გარეშე მასთან თანამშრომლობას არ აპირებს.

ტერეზა მეი: „მუდმივად მოვუწოდებთ პუტინს, გაიყვანოს ჯარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან“

ბრიტანეთის პრემიერს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი შეახსენეს. ერთ-ერთმა გამომსვლელმა ტერეზა მეის მოუწოდა, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია კიდევ ერთხელ აღიაროს და რუსეთს საქართველოს ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვოს.

– მინდა, დავადასტურო, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა მუდმივად მოუწოდებს პუტინის ადმინისტრაციას, გაიყვანოს ჯარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ეს სხვადასხვა ფრონტზე ხდება და ეს ასეც გაგრძელდება, – უპასუხა ტერეზა მეიმ გამომსვლელს.

ოპოზიციური პარტიები დმანისში 16 ჰა მიწის ნაკვეთზე გამოცხადებული აუქციონის გაუქმებას ითხოვენ

ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა წერილობით მიმართეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს, გაუქმდეს სოფელ დიდ დმანისში, შპს RMG Gold-ის საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 16 ჰექტარი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემაზე გამოცხადებული აუქციონი.

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრის, თამარ კორძაიას განცხადებით, დიდ დმანისში ტერიტორიების გასხვისების პროცესი გამჭვირვალე არ არის და დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს.

– ეს არის ჩუქება იმ კომპანიისთვის, რომელიც საკუთარ ვალდებულებებს არ ასრულებს, არ ახდენს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელსაც გარემოს აყენებს თავისი საქმიანობის ფარგლებში. ეჭვი გვაქვს, რომ RMG Gold-ი იქ უკვე აწარმოებს სამუშაოებს, რაც დაუშვებელია. აუქციონის პროცესი იღებს მხოლოდ და მხოლოდ ფორმას, რომლითაც კანონიერი უნდა გახდეს ის უკანონო მოქმედებები, რაც იქ ხდება, – განაცხადა თამარ კორძაიამ.

– მითითებული ქონების ათწლიან სარგებლობაში იჯარით გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დახურულ კარს მიღმა, რაც მნიშვნელოვანი შეშფოთების საფუძველია. აუქ-



ციონის პირობებში განსაზღვრული არ არის, მოიჯარეს კონკრეტულად რა ფორმით შეეძლება აღნიშნული მიწის ნაკვეთით და იქ არსებული ტყის რესურსით თუ წიაღისეულით სარგებლობა.

ჩვენ ეჭვებს, რომ აღნიშნული ტერიტორიის სარგებლობაში გადაცემის მიზანია კომპანია RMG Gold-ს სამართლებრივად დაუდასტურონ მის მიერ უკვე მისი სარგებლობის გარეთ მყოფ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების მიზნით დაწყებული სამუშაოები, ამყარებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 22 თებერვლის №07/782 წერილი, რომელშიც მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ტატუაშვილი აღნიშნავს: „აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს საერთო სარგებლობის სივრცეს, ტერიტორიით ფაქტობრივად არ სარგებლობენ დმანისის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები, რადგან ზემოთ აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ (უძრავი ქონების ირგვლივ) შპს RMG Gold-ი აწარმოებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით სამუშაოებს, ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა ფაქტობრივად შეუძლებელია სპეციალური საშვის გარეშე (ტერიტორია ფაქტობრივად არის წიაღით სარგებლობის უბანი – სამთო მინაკუთვნის არეალი).

შესაბამისად, კომპანია RMG Gold-ს ტერიტორია უკვე აქვს ფაქტობრივ ფლობაში და აუქციონის გამოცხადებაც, ფაქტობრივად გვიდასტურებს იმას, რომ თითქმის უფასოდ (15.000 ლარი) 16.2 ჰა ტყის ტერიტორია გადაეცემა კომპანიას, რომელიც წიაღისეულის მოპოვებას ახორციელებს კანონმდებლობის დარღვევით, ღია კარიერული წესით, ანადგურებს გარემოს და საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას, – ნათქვამია მიმართვაში.

განცხადებას ხელს აწერენ „ახალი მემარჯვენეები“, „ახალი საქართველო“, „ევროპული დემოკრატები“, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“, „თავისუფალი საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკური პარტია“, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.

იმ შემთხვევაში, თუ მათი განცხადება არ დაკმაყოფილდება, შესაძლოა შეიქმნას დმანისის გადარჩენის ფონდი, რომლის მიზანი შემოწირულობით მიღებული თანხებით აუქციონზე გატანილი ტერიტორიის ყიდვა იქნება.

განცხადება გაავრცელა RMG Gold-მა. კომპანიის ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე წიაღის მოპოვება არ იგეგმება: „ამ აუქციონზე გამოტანილ 16 ჰა მიწის ნაკვეთზე კომპანია ამ ეტაპზე არავითარ სამუშაოებს არ აწარმოებს; კომპანიას აღნიშნული ტერიტორია ესაჭიროება სანაყაროების მოსაწყობად (ფუჭი ქანის განსათავსებლად); კომპანიას შესწავლილი აქვს აღნიშნული ტერიტორია და მიწის ნაკვეთი სასარგებლო წიაღისეულის კუთხით სტერილურია, რაც ნიშნავს, რომ ამ ნაკვეთზე არ არის სასარგებლო წიაღისეული; 16 ჰა მიწის ნაკვეთი ტყის ფონდში არ ირიცხება; ტერიტორია დაფარულია ბუჩქნარით და მცენარეებით, რომელიც არ შედის წითელი ნუსხაში; აუქციონზე გამოტანილი 16 ჰა მიწის ნაკვეთზე შესვლა და დათვალიერება შესაძლებელია ჩვენი კომპანიის საწარმოო ტერიტორიის გარდა სხვა ლოკაციებიდან და ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის“.

რეგინფო

პრემიერი: „ჩვენ ვგეგმავთ მცირე ბიზნესის განვითარების მეორე ტალღას – კაპიტალში დახმარებას“

– ძალიან სასიხარულოა, რომ 300 მლნ აშშ დოლარის ოდენობით ახალი ინვესტიცია შემოვა ქვეყანაში და განთავსდება ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: ტურიზმის სექტორი, ენერგეტიკა, უძრავი ქონება. მისასალმებელია, რომ არასახელმწიფო არასაფინანსო ქართულმა კომპანიამ პირველად განათავსა ობლიგაციები ევრობონდების სახით და მოიზიდა 300 მლნ აშშ დოლარი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „საქართველოს კაპიტალის“ საინვესტიციო გეგმების შესახებ დღეს გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა.

BGEO Group-ის საინვესტიციო ბიზნესის ჰოლდინგური კომპანია „საქართველოს კაპიტალი“ მომდევნო წლების განმავლობაში საქართველოში, ჯამში, 500 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს, საიდანაც 300 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ევროობლიგაციები „საქართველოს კაპიტალმა“ ირლანდიის საფონდო ბირჟაზე განათავსა.

მოზიდული თანხების ინვესტირებას „საქართველოს კაპიტალი“ სხვადასხვა დარგში მომუშავე ქართულ კომპანიებში გეგმავს.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას მთავრობის მეთაურმა ყურადღება 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაკუთრებულ ზრდაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს, წარმატებულია, რასაც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ადასტურებს.

– ის ინფორმაცია, რომელიც 2 დღის წინ საჯარო გახდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის თაობაზე, ინვესტორებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და „საქართველოს კაპიტალის“ ეს წარმატებაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აბსოლუტურად სწორი გეზია აღებული ჩვენი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კუთხით. 16,2%-იანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რაც 1.862 მილიარდი აშშ დოლარია, მართლაც, შთამბეჭდავი რიცხვია. განსაკუთრებით გვახარებს ასევე ის, რომ 130%-ზე მეტით გაიზარდა რეინვესტიცია – დაახლოებით, 712 მლნ აშშ დოლარია რეინვესტირებული, ანუ ბიზნესიდან ჩვენს ქვეყანაში ჩაბრუნებული თანხა. ეს თანხა, როგორც წესი, ქვეყნის გარეთ გადიოდა, რომ არ ყოფილიყო ორი რამ, პირველი – მზარდი ეკონომიკა და 4,8%-იანი ეკონომიკური ზრდა და მეორე – მოგების გადასახადის რეფორმა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან კავშირშია. ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება და 2017 წლის პირველი იანვრიდან ეს რეფორმა წარმატებით ხორციელდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის თავის შედეგებს მოიტანს 2018 წელსაც და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიკა არის ძალიან მაღალ დონეზე, რაც საბოლოოდ რიგითი ადამიანების სოციალურ მდგომარეობაზე აისახება.

– ეკონომიკური დინამიკა არის ძალიან სახარბიელო, გვაქვს ბიზნესისთვის ძალიან სასარგებლო ზრდა ტურიზმის მიმართულებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის ამ 300 მლნ აშშ დოლარის გადადინების ეფექტი – მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდაზე, სექტორზე, რომელიც ყველაზე მეტად აისახება ჩვენი მოსახლეობის, რიგითი ადამიანების, ბიზნესმენების, მცირე მეწარმეების, სოფლად მცხოვრები ადამიანების – რომლებიც არ არიან მსხვილი ბიზნესმენები – ყოველდღიურ ყოფაზე. ეს არის ის ეფექტი, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდება, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა დღესვე მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მეორე ეტაპის დაწყება დააანონსა.

– ჩვენ ვგეგმავთ მცირე ბიზნესის განვითარების მეორე ტალღას – კაპიტალში დახმარებას, არა მხოლოდ დამწყები, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის. გვაქვს უკვე გარკვეული იდეები ამ მიმართულებით, მთავრობის ეკონომიკური ბლოკი მუშაობს აღნიშნულ საკითხზე და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ეფექტი, რომელსაც 300 მლნ აშშ დოლარის შემოდინება შექმნის ამ სექტორებში, პირდაპირ აისახება არაერთ სხვა სექტორზე, ეს იქნება – კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები და ა.შ. ასე რომ, ძალიან სახარბიელო ჯაჭვურ რეაქციასთან გვაქვს საქმე და ეს არის ის ჯაჭვური რეაქცია, რომელიც ჩვენს ქვეყანას გა-

დააქცევს ყველაზე დინამიურ ქვეყნად ჩვენს რეგიონში და ჩვენ ნამდვილად გვაქვს ის პოტენციალი, რომ ვუმასპინძლოთ არა მხოლოდ კაპიტალს, არამედ განათლებას, მეცნიერებას, კულტურას და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე, საბოლოო ჯამში, ძალიან პოზიტიურად აისახება, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა და „საქართველოს კაპიტალს“ სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ბანკები, სავაჭრო ობიექტები, ლომბარდები ადამიანთა პერსონალურ მონაცემებს უკანონოდ ასაჯაროებენ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ინფორმაციით, სხვადასხვა ორგანიზაციები არცთუ იშვიათად არღვევენ ადამიანთა უფლებას, დაცული იყოს მათი პერსონალური მონაცემები.

კერძოდ, როგორც აპარატის გასული წლის ანგარიშშია ნათქვამი, საანგარიშო პერიოდში 51 სავაჭრო ობიექტი, 39 მიკროსაფინანსო და ონლაინსესხის გამცემი კომპანია, 32 კომერციული ბანკი, 24 სესხის ამომღები, 14 კომუნიკაციების განმახორციელებელი კომპანია და 24 ლომბარდი და ვალუტის გადამცვლელი პუნქტი შემოწმდა.

შესწავლის შედეგად 2017 წლის განმავლობაში სამართალდარღვევა 22 სავაჭრო ობიექტთან დაკავშირებით დადგინდა. მათთან მიმართებით სანქციები ძირითადად, ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევაზე გავრცელდა. დარღვევის გამო ორგანიზაციებს მიეცათ როგორც გაფრთხილება, ასევე ზოგი მათგანი დაჯარიმდა კიდეც. ფულადი სანქციის ოდენობა 500 ლარამდეა.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო, ონლაინ სესხის გამცემ და სესხის ამომღებ კომპანიებს, სამართალდარღვევა 23 შემთხვევაში გამოვლინდა. ძირითადად საქმე სესხთან დაკავშირებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის გამჟღავნებას ეხებოდა. ამ სახის დარღვევებისთვის კანონი ითვალისწინებს გაფრთხილებას ან ჯარიმას 500 ან 2.000 ლარის ოდენობით.

აპარატის ინფორმაციით, პერსონალური მონაცემების მე-3 პირისთვის გამჟღავნების ფაქტი დადგინდა კომერციულ ბანკებშიც. რიგ შემთხვევებში კი პირდაპირი მარკეტინგის წესების დარღვევას ჰქონდა ადგილი. ჯამში, 32 კომერციული ბანკის შემოწმებისას სამართალდარღვევა 10 შემთხვევაში გამოვლინდა, რაზეც სანქციის სახით გამოყენებული იქნა როგორც ჯარიმა, ისე გაფრთხილება.

ლომბარდებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების შემთხვევაში, 24-დან 4 შემთხვევაში დადგინდა სამართალდარღვევა. აღნიშნული ობიექტების შესწავლის საგანს კი ვიდეოთვალთვალის წესების დაცვა წარმოადგენდა.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ცნობით, კომუნიკაციის განმახორციელებელი კომპანიების შემთხვევაში, 14 კომპანიის შესწავლის შედეგად, 4 სამართალდარღვევა დადგინდა.

სანქციის სახით გამოყენებული იყო როგორც ჯარიმა, ისე გაფრთხილება. რაც შეეხება დარღვევის ტიპებს, ამ კომპანიათა შემოწმებისას გამოვლინდა პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების წესის დარღვევა, ასევე ინსპექტორისათვის ინფორმაციის წარმოდგენის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტები.

„სითი პარკი“ მერიას პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებაში ადანაშაულებს

კომპანია „სითი პარკი“ მერიის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტას უკანონოს უწოდებს და სასამართლოში ჩივილს აანონსებს. კომპანიის ადმინისტრაციის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ ექცევა საქართველოს ხელისუფლება უცხოელ ინვესტორებს.

– თბილისის მერის, ბ-ნი კახა კალაძის გუშინდელი განცხადება შპს „სი-თი პარკ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ არის უკანონო, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება და საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ ეპყრობა საქართველოს ხელისუფლება უცხოელ ინვესტორებს. მთელი სახელმწიფო აპარატი, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ჩათვლით, გამოყენებულ იქნა კონკრეტული ძალების მიერ და მოქმედებდა კოორდინირებულად, „სი-თი პარკ“-ის საქართველოდან უკანონოდ გაძევების მიზნით. ხელისუფლება მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, უგულებელჰყოფდა ინვესტორის მხრიდან სისტემატურ კომუნიკაციას და იმ გარემოებას, რომ ამჟამად მიმდინარეობს ორი სასამართლო პროცესი, რომელშიც შპს „სი-თი პარკი“ დავობს მის მიმართ კანონდარღვევის აბსურდული ბრალდებების საკითხზე. ხელისუფლება ცდილობდა შეექმნა სამართლებრივი პროცესის ილუზია მაშინ, როდესაც საბოლოო შედეგი (ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტა კანონზე და სასამართლოზე მაღლა მდგომი კონკრეტული ჯგუფების ინტერესების გამო) წინასწარ იყო განსაზღვრული. „სითი პარკი“ განიხილავს ყველა შესაძლებლობას და მიმართავს ყველა საშუალებას, რომელსაც მას ანიჭებს ქართული და საერთაშორისო სამართალი. კომპანიის მფლობელები ასევე გავრცელებენ ამ ინფორმაციას ისრაელის და საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოებაში.

აღნიშნული ცალსახად უარყოფითად აისახება საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე, რაც, როგორც ჩანს, არ აღელვებთ ძალაუფლების მქონე ბიუროკრატებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც სითი პარკი ავრცელებს.

„45833 მსესხებელს რეფინანსირებაზე მიბმულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვლება“

„საზოგადოება და ბანკებმა“ ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2018 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 45833 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. რეფინანსირების განაკვეთი დარჩა უცვლელი 7.25%-ზე და მსესხებლებს საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვალათ. დღესდღეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 1992 მლნ ლარის მოცულობის სესხია გაცემული.

1 იანვრიდან 1 თებერვლამდე გაცემული სესხების რაოდენობა გაიზარდა 1.243-ით, ხოლო მთლიანი პორტფელი 2.6%-ით – 1.943 მლნ-დან 1.992 მლნ ლარამდე.

45.833 ხელშეკრულებიდან 17.440 სამომხმარებლო ტიპის სესხია, მოცულობა კი 265 მილიონი ლარი. ლარში გაცემული სამომხმარებლო სესხების საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 1 თებერვლის მდგომარეობთ 17% შეადგინა.

რაოდენობრივად მეორე ადგილზეა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები. რეფინანსირების განაკვეთზე 1 თებერვლის მონაცემებით 16.848 სესხია მიბმული, საშუალოდ 12%-ში. მთლიანი პორტფელი კი 687 მილიონი ლარია.

ბიზნესსესხებზე 8.878 ხელშეკრულებაა გაფორმებული და მთლიანი პორტფელი 986 მლნ ლარია. აქედან მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად ბანკებმა 324 მლნ ლარი გასცეს, საშუალოდ 14%-ში. ხოლო მსხვილი ბიზნესი 1 თებერვლის მონაცემებით 662 მილიონი ლარით დააკრედიტეს, საშუალო შეწონილ 12.3%-ში.

ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემულია რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ავტოსესხი. სულ 1 თებერვლის მონაცემებით 607 ხელშეკრულებაა გაფორმებული. 10,760 ათასი ლარი ბანკებმა საშუალოდ 17.4%-ში გაასესხეს.

ასევე გაცემულია 2.060 ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხი, რომელთა კონკრეტული მიზნობრიობა უცნობია. აღნიშნული სესხების მოცულობა 43 მლნ ლარს შეადგენს.

ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები 1 თებერვლის მდგომარეობით ლარში გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელის 21%-ია. მათ შორის ყველაზე მეტია ბიზნესსესხი, ხოლო ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი იპოთეკურ სესხებზეა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხების პორტფელი გაზრდილია 1,1 მლრდ ლარით, ხოლო საპროცენტო განაკვეთები საშუალოდ 12.1%-დან 12.9%-მდე გაიზარდა. „საზოგადოება და ბანკების“ აზრით, საპროცენტო განაკვეთების ზრდა განაპირობა ლარის რესურსზე გაზრდილმა მოთხოვნამ და ინფლაციის მაღალმა მაჩვენებელმა. იმ პირობებში თუ სეზონური ფაქტორები დადებითად აისახება გაცვლით კურსზე, ეროვნულ ბანკს ექნება მეტი რესურსი, შეამციროს რეფინანსირების განაკვეთი, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

როგორც ცნობილია, დღეს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად, 7.25 პროცენტზე დატოვა.

„კომერსანტი“

„საქართველოში ე.წ. მწვანე კარკასის ბინები არ შენდება“

„მწვანე კარკასის“ შეძენის შემთხვევაში, მფლობელს ბინაში საცხოვრებლად გადასასვლელად მხოლოდ მსუბუქი კოსმეტიკური რემონტის გაკეთება დასჭირდება“ – ვკითხულობთ სხვადასხვა სამშენებლო კომპანიის ვებ-გვერდზე და ვეცნობით იმ ჩამონათვალს, რომელსაც, მათი თქმით, ბინის მდგომარეობა ე.წ. „მწვანე კარკასი“ ეწოდება.

ქართულ ბაზარზე „მწვანე კარკასს“ სახლის მდგომარეობას უწოდებენ, რომელიც მოიცავს: ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმულ იატაკებს; ბეტონის საკედლე აკუსტიკური ბლოკით მოწყობილ შიდა ტიხრებს; გალესილ კედლებს; მაღალი ხარისხის ფილებით მოპირკეთებულ აივნებსა და ტერასებს; ცენტრალური გათბობისა და კონდენციონერის ბლოკის სათავსოს; ბინაში დაქსელილ ელექტროობას; ცენტრალურ გათბობასა და ცხელი წყლის მილებს; ალუმინის კარ-ფანჯარას; ევროპული ლითონის ბინის ცენტრალურ შესასვლელ კარს ბრენდირებული საკეტით; მოპირკეთებულ სადარბაზოს.

რას ნიშნავს რეალურად „მწვანე კარკასი“ და რატომ დამკვიდრდა საქართველოში ეს ტერმინი ამ ფორმით – ამის შესახებ უძრავი ქონების სააგენტო Myclient.ge-ს წარმომადგენლები საუბრობენ.

სპეციალისტების თქმით, ტერმინი მწვანე კარკასის გამოყენება იმ ფორმით, რომლითაც სამშენებლო კომპანიები იყენებენ, მხოლოდ და მხოლოდ რეკლამას ემსახურება. სინამდვილეში კი, აღნიშნული ტერმინი ქართულ რეალობაში არასწორად არის გადმოტანილი და, შესაბამისად, პრაქტიკაშიც შეცდომით დამკვიდრდა.

– ამ ტერმინს, რა თქმა უნდა, ჩვენც ხშირად ვიყენებთ, თუმცა, ვიცით, რომ რეალურად „მწვანე კარკასის“ მნიშვნელობა საერთოდ სხვაა, – აცხადებენ სააგენტოში.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, მწვანე მშენებლობა რეალურად თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ძვირადღირებული მშენებლობაა, რადგან იგი ბუნებრივი მასალებით ხორციელდება. მასალა, რომელსაც მშენებლობის პროცესში გამოიყენებენ, აუცილებლად ენერგოეფექტური უნდა იყოს და მხოლოდ გენერირებული ენერგიის მოხმარება დასჭირდება.

აღნიშნული მშენებლობის მთავარი ხაზი ის არის, რომ მან ზიანი არ უნდა მიაყენოს გარემოს, რაც განახლებადი (ქარის, მზის) ენერგიის გამოყენებით, მის დაზოგვას ემსახურება. ეს ყველაფერი კი, ძალიან ძვირი სიამოვნებაა და ჩვენი ქვეყნის სამშენებლო ბაზარს თუ გადავხედავთ, არასპეციალისტიც კი მიხვდება, რომ ის, რასაც „მწვანე კარკასი“ თავის თავში გულისხმობს, საქართველოში არც კი არსებობს. მწვანე მშენებლობები ამ ეტაპზე მხოლოდ განვითარებულ და მდიდარ ქვეყნებში გვხვდება, ისიც კონკრეტულ დასახლებებში და ეს ცალკეული დასახლებებიც ჯერჯეროობით ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება, – აცხადებენ Myclient.ge-ში.

„ყველაზე დამანგრეველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში“

აპირებს თუ არა „ნენსკრა ჰიდრო“ 200 ჰექტარზე გასაჩეხი ტყის სანაცვლოდ ტყის საფარის აღდგენას? სად იქნება ალტერნატიული ადგილი და რა დაჯდება პროექტი? რა ბედი ეწევა „ნენსკრა ჰესის“ აშენების შემდეგ ნაკრას ხეობას და გათვლილია თუ არა რისკები? – ამ და სხვა კითხვებით „კომერსანტი“ კომპანია „ნენკსრა ჰიდროს“ დაუკავშირდა. მიღებული პასუხების შეფასებისთვის კი „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელს დავით ჭიპაშვილს გავესაუბრეთ. გთავაზობთ „ნენსკრა ჰიდროს“ პასუხის სრულ ვერსიას.


ზემო ნაკრა
ნაკრა
ზემო ნენსკრა
ზემო ჭალადიდი
ნენსკრა
ნენსკრა
ნენსკრა

სისხლიანი დაპირისპირება ზუგდიდში

ზუგდიდში დაჭრილი სამი პირიდან ერთის მდგომარეობა კვლავ კრიტიკულად მძიმე რჩება. მამაკაცი მართვით სუნთქვაზე, რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

პაციენტს ჭრილობა გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, მომხდარი „ქურდულ გარჩევას“ უკავშირდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 19-109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

მეტროსადგურ „დიდუბეში“ მატარებლის შეჯახების შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა

„დიდუბის“ მეტროსადგურში, მატარებლის შეჯახების შედეგად, დაშვებული მამაკაცი დაიღუპა. სავარაუდოდ, 70 წლის მამაკაცი ლიანდაგში ჩავარდა და მატარებელი დაეჯახა.

მეტროსადგურში ადასტურებენ, რომ ადგილზე ინციდენტი მოხდა, თუმცა დეტალებზე არ საუბრობენ.

„ნიუპოსტი“ დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში არკვევს.

მორიგი სისხლიანი დაპირისპირება ზუგდიდში — დაჭრილია არასრულწლოვანი

მორიგი სისხლიანი გარჩევა ზუგდიდის ცენტრში. არსებული ინფორმაციით, მოზარდებს შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად 15 წლის ბიჭი გულ-მკერდის არეში დაჭრეს.

ფაქტს თვითმხილველები ჰყავს, რომლებმაც სასწრაფო და საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

„ნიუპოსტს“ ადგილობრივებმა უთხრეს, რომ ჩხუბში 7 მოზარდი მონაწილეობდა, რომლებმაც ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

დაჭრას წინ კონფლიქტი და ე.წ. საქმის გარჩევა უძღოდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სპეცოპერაცია ფონიჭალაში — ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი

არსებული ინფორმაციით, სპეცოპერაციისას ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვას ან გადაზიდვას გულისხმობს.

პროკურორი: „ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენება არის სანდო და გასაზიარებელი“

ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენება არის სანდო და გასაზიარებელი, – ამის შესახებ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის ფაქტზე საქმის პროკურორმა დავით ნეფარიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

პროკურორის განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ჯერ კიდევ 2007 წელს საუბრობდა მასმედიის საშუალებით იმ ფაქტებზე, რაზეც დღეს სასამართლოში ისაუბრა, ჩვენება არის სანდო. პროკურორის თქმით, ოქრუაშვილს 2007 წელს პირადი მოტივი, რაზეც ადვოკატი საუბრობს, ჯერ კიდევ არ გააჩნდა. ამასთან, პროკურორმა აღნიშნა, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ჩვენება მიცემული აქვს აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული სხვა პირების მიმართაც და იმ ჩვენებებშიც აფიქსირებს ვანო მერაბიშვილის მონაწილეობას.

ამასთან, პროკურორი გამორიცხავს რაიმე ტიპის თანამშრომლობას ირაკლი ოქრუაშვილსა და პროკურატურას შორის.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი გადაიქცა ტაბელურ მოწმედ, რომელიც ხელისუფლებას დაყავს ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების პროცესებზე.

ადვოკატის შეფასებით, ირაკლი ოქრუაშვილის ნათქვამი არ არის სარწმუნო სხვადასხვა გარემოებების გამო. კერძოდ, გიორგი ჩივიაშვილის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილს საგამოძიებო უწყებაში დაკითხვის დროს ნახსენები არ ჰყავს მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის დროს ვანო მერაბიშვილი, თუმცა დღევანდელ პროცესზე ირაკლი ოქრუაშვილმა ვანო მერაბიშვილზეც ისაუბრა.

„ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, ალტერნატიულ ექსპერტიზას ელოდებიან“

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე სასამართლოში ორი მოწმე იკითხება. ვინაიდან ორივე მათგანი არასრულწლოვანია, სხდომა დღესაც მედიისთვის დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს.

ცნობილია, რომ მოწმეები პირველ დეკემბერს მომხდარ კონფლიქტში მონაწილეობდნენ.

ამ დროისთვის საქმეზე დაკითხულია კონფლიქტში მონაწილე ხუთი არასრულწლოვანი, ისინი ე.წ პირდაპირი მოწმეები არიან.

ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი, ტარიელ კაკაბაძე აღნიშნავს, რომ სწორედ არასრულწლოვნების ჩვენებებია მნიშვნელოვანი, თუმცა, როგორც ისინი ამბობენ, გამოძიების ეტაპზე მიცემული და შემდგომ, სხდომაზე გაჟღერებული ჩვენებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება.

მოწმეების მიერ ჩვენების შეცვლა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ისინი სასამართლოს სიმართლეს არ ეუბნებიან, – თქვა კაკაბაძემ.

უფლებადამცველის ინფორმაცით, „ის განცხადებები, რომ ჩვენებები არ იცვლება, სრული სიცრუეა“.

– დღევანდელმა მოწმემაც გამოძიებაში მიცემული ჩვენება კატეგორიულად შეცვალა უმნიშვნელოვანეს მომენტებთან დაკავშირებით. საუბარია ისეთ მომენტებზე, როგორიცაა ჩხუბის დაწყება, მიმდინარეობა და ჩხუბის დასრულება. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, საქმეზე დაკითხულმა ყველა მოწმემ, ისევე, როგორც დღევანდელმა მოწმემ, გამოძიებაში მიცემული ჩვენება შეცვალა.

ეს არ არის ჩვენების დაზუსტება, ეს არის ჩვენების შეცვლა, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მოწმეები სასამართლოს სიმართლეს არ ეუბნებიან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გამოძიება სწორად არ არის ნაწარმოები და შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასწორად გამოძიებული საქმე გადაიგზავნა სასამართლოში. ჩვენი აზრით, არის გარკვეული პირების დაინტერესება ამ საქმეზე, – განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ.

ამასთან ცნობილია, რომ დაცვის მხარე რამდენიმე ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას ელოდება.

– დავნიშნეთ საკმაოდ ბევრი ექსპერტიზა. იმისათვის, რომ საქმეზე უტყუარი ჭეშმარიტება დადგინდეს, ამისთვის ნივთიერი მტკიცებულებებია საჭირო, რაც ჩვენთვის ამ დრომდე არ გადმოუციათ, – განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ.

* * *

ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი მკვლელობის საქმის პროკურორი ირწმუნება, რომ მოწმეთა ჩვენებების რადიკალურ ცვლილებებს ადგილი არ აქვს.

ზვიად ფხაკაძე აღნიშნავს, რომ დაკითხული მოწმის ჩვენება სრულ თანხვედრაშია იმ ფაქტობრივ გარემოებებთან, რომელიც გამოძიების ეტაპზე დადგინდა.

– დაკითხულმა მოწმემ ისაუბრა იმ კონფლიქტზე, რასაც ორი არასრულწლოვანის გარდაცვალება მოყვა. მოწმე იყო 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლე. მისი ჩვენების შინაარსზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე ვერ ვისაუბრებ, თუმცა გეტყვით, რომ მისი ჩვენება არის ძალიან ინფორმაციული, რასაც ბრალდების მხარე გამოიყენებს დასკვნითი სიტყვის დროს, – აღნიშნა ბრალდების მხარის წარმომადგენელმა.

პროკურორის თქმით, დღეს მიცემულ ჩვენებაზე, ასევე სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ბრალდების მხარეს აქვს ერთი მოლოდინი, რომ სასამართლო ბრალდებულების მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს.

ფხაკაძე ამბობს, რომ მოწმის დღევანდელი ჩვენება აბსოლუტურ თანხვედრაშია საქმის გარემოებებთან.

– არ ვიცი, დაცვის მხარე რას ეძახის ჩვენებების შეცვლას. სასამართლოზე მოწმის დაკითხვა ხდება მხარეების მიერ, გამოძიების ეტაპზე კი მხოლოდ ერთი მხარის მიერ. შესაბამისად, კითხვებს სვამს ორივე მხარე და დასაკითხ პირებს ბევრი დეტალის დაზუსტება უწევთ. ხაზგასმით შემიძლია ვთქვა, რომ მოწმეთა ჩვენებების რადიკალურ შეცვლას ადგილი არ აქვს, – განაცხადა ზვიად ფხაკაძემ.

მისივე თქმით, ბრალდების მხარე ექსპერტიზის დასკვნებს მიღებისთანავე სასამართლოს წარუდგენს.

ირაკლი ოქრუაშვილი: „ვადასტურებ, მითქვამს, რომ შანსს არ გავუშვებ, გავანადგურო სააკაშვილი“

– მე მერაბიშვილი არ მყავდა მითითებული წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებისას, ამას ჩემი სუბიექტური დამოკიდებულებით ვხსნი, – ამის შესახებ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ მას გამოძიების ეტაპზე ჩვენებები მშრალად აქვს მიცემული და შემდეგ მოხდა მათი განვრცობა. ოქრუაშვილმა ჩვენების მიცემის პერიოდიც გაიხსენა.

– მე გამოძიებისთვის არასდროს მიმიცია ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება, მე ვთქვი, რომ ჩემი ჩვენებები ამ საქმეში იყო მშრალი, იმის გამო, რომ მაშინ, როდესაც ვალერი გელაშვილი კარიბის კუნძულებზე ისვენებდა, მე გლდანის ციხეში უნდა მიმეცა ჩვენება. სუბიექტური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, პროკურორს ვუთხარი, რომ ჯერ დაეკითხათ გელაშვილი და შემდეგ ჩემთან მოსულიყვნენ, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ მას ნათქვამი აქვს, რომ შანსს არ გაუშვებდა, „მიხეილ სააკაშვილი გაენადგურებინა“.

– მე ვადასტურებ, რომ მითქვამს, შანსს არ გავუშვებ, რომ არ გავანადგურო სააკაშვილი-მეთქი. ეს ნიშნავს, რომ ვითანამშრომლებ გამოძიებასთან. ეს არაერთხელ მაქვს დაფიქსირებული. აქ არ იგულისხმება, რომ მანიპულაციას ვაპირებ, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის გიორგი ჩივიაშვილის შეფასებით, ირაკლი ოქრუაშვილის ნათქვამი არ არის სარწმუნო სხვადასხვა გარემოებების გამო. კერძოდ, გიორგი ჩივიაშვილის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილს საგამოძიებო უწყებაში დაკითხვის დროს ნახსენები არ ჰყავს მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის დროს ვანო მერაბიშვილი, თუმცა დღევანდელ პროცესზე ირაკლი ოქრუაშვილმა ვანო მერაბიშვილზეც ისაუბრა.

სასამართლომ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს ორწლიანი პატიმრობა შეუფარდა

ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას ორწლიანი პატიმრობა შეუფარდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

როგორც საგამოძიებო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული ლ.თ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ოჯახში ძალადობისთვის ნასამართლევმა ლ.თ.-მ 2017 წლის 28 ივლისს ქ.ხაშურში, ყოფილ მეუღლეზე – ს.მ.-ზე იძალადა, რა დროსაც სახისა და სხეულის არეში ხელის მრავალჯერადი დარტყმებით, ასევე ყელში მოჭერით ფიზიკური ტკივილი მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ლ.თ. იმავე დღეს ქ.ხაშურში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ ლ.თ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ჯიჰადისტები ერთიანდებიან

ყალიბდება ახალი პოსტტერორისტული პეიზაჟი

მარიამ მჭედლიშვილი

ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს, ანუ ხალიფატის დაშლას არ გამოუწვევია ტერორისტული საფრთხის შენელება მსოფლიოში.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ არსებობს მსხვილი ტერორისტული ორგანიზაციების გაერთიანების საშიშროება. გაეროს დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ხალიფატის ვერტიკალის ჩამოშლა არ მოასწავებს მისი ცალკეული ჯგუფების დანგრევას. რეალურია დანაწევრებული ისლამური სახელმწიფოს შერწყმა სტრუქტურულად მყარ ალ ქაიდასთან.

დღეს ამ ორი ჯიჰადისტური დაჯგუფების გაერთიანების შესახებ „ობსერვერის“ ანალიტიკოსები ალაპარაკდნენ.

მათი შეფასებით, ტერორისტების შეტევები ბოლო დროს თავშეკავებული და ნაკლებად ინტენსიური გახდა, მაგრამ არის მათი გაერთიანების საშიშროება.

გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი მდგრადი ალ ქაიდაა. ისლამური სახელმწიფო ბრტყელი იერარქიის სტრუქტურად გადაიქცა. მისი ფილიალები ავტონომიურად მოქმედებენ. ზოგ რეგიონში ალ ქაიდა ხალიფატზე ბევრად უფრო საშიშია.

მოსალოდნელია, რომ ამ ორგანიზაციების წევრებმა ტერაქტები ერთობლივად მოამზადონ და განახორციელონ. ალ ქაიდას მეთაურები შესაბამისი მოწოდებებით გამოდიან.

მაგალითად, ალ ქაიდას ლიდერი ამან აზ-ზავაჰირი მიმართავს ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჯიჰადისტებს, ერთად დადგნენ, ვინაიდან ესაა „გამარჯვებისა და გადარჩენის საფუძველი“.

ზავაჰირის თქმით, სატანისტური ალიანსის წინააღმდეგ გაერთიანებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა გლობალურ ფრონტზე.

ანალიტიკოსების დასკვნით, ყალიბდება ახალი პოსტტერორისტული პეიზაჟი. ახალ რეალობაში ისლამური სახელმწიფო აგრძელებს ცალკეულ თავდასხმებს დედამიწის ყველა კუთხეში და უმტკიცებს თავის ერთგულებას აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის. ამასთან, წარუმატებლობა და მიზნების ერთობლიობა განაპირობებს სხვადასხვა ტერორისტის შეკავშირებას და მსოფლიო ჯიჰადის გამოცხადებას.

ამჟამად ტერორისტულ ორგანიზაციებს ერთმანეთში ხშირად უთანხმოება აქვთ. მაგალითად, ისლამური სახელმწიფო თალიბანს აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან გარიგება შესთავაზა ამერიკელებს.

ალ ქაიდა ყველა ჯიჰადისტის გაერთიანების მომხრეა. ის ახალი ლიდერების მოზიდვაზე ფიქრობს. ასეთად განიხილება უსამა ბინ ლადენის ვაჟი ჰამზა.

ალ ქაიდას ერთ-ერთმა მეთაურმა ჰამიდ ბატარფიმ მოუწოდა მუსლიმანებს, დახოცონ ებრაელები და ამერიკელები. ეს მაშინ მოხდა, როცა აშშ-ის პრეზიდენტმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა.

ამ აქტს ბატარფიმ ისლამისადმი ომის გაღვივება უწოდა და განაცხადა, რომ იერუსალიმის მიტოვების უფლება არც ერთ მუსლიმანს არა აქვს.

ითვლება, რომ ალ ქაიდაში შედარებით ზომიერი ჯიჰადისტებიც შედიან. ზომიერებმა 2017 წლის დეკემბერში მოლაპარაკება გამართეს სირიის პრეზიდენტ ასადთან და მას იდლიბის პროვინციის დაბრუნებას დაჰპირდნენ.

როგორც ჩანს, უთანხმოება ალ ქაიდას ზომიერ და რადიკალურ ნაწილს შორის დაიძლევა. არსებობს ამ ორგანიზაციის სხვა ჯიჰადისტებით შევსების ალბათობა. ექსპერტების პროგნოზით, ალ ქაიდა დაიწყებს იმ პოტენციური ჯიჰადისტების მართვას, რომლებიც არ საჭიროებენ საზღვარგარეთ წვრთნების გავლას. ეს ტერორისტები თავდასხმებს საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში მოაწყობენ.

გერმანიის კანცლერად კვლავ ანგელა მერკელი აირჩიეს

ანგელა მერკელი გერმანიის კანცლერად მეოთხე ვადით აირჩიეს. მას ბუნდესტაგის 364-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

ახალ კოალიციურ მთავრობაში ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, მათი მოკავშირე ქრისტიან-სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები შევლენ.

ანგელა მერკელის მხარდასაჭერად დედამისი ჰერლენდ კასტნერი და მეუღლე -იოჰიმ ზაუერიც მივიდნენ.

ევროკავშირი თურქეთს დაპირებულ 3 მილიარდ ევროს გამოუყოფს

მიგრაციულ კრიზისთან საბრძოლველად ევროკავშირი თურქეთს დაპირებულ 3 მილიარდ ევროს გამოუყოფს.

ამის შესახებ ევროკომისიის პრესსამსახური იუწყება.

– ევროკომისია თურქეთში მიგრანტების დაფინანსების ფარგლებში, 3 მილიარდი ევროს ოდენობის მეორე ტრანშის მობილიზაციას იწყებს, მას შემდეგ, რაც სახსრების პირველი ნაწილის გამოყოფა 2017 წლის ბოლოს დასრულდა, – ნათქვამია ევროკომისიის განცხადებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტერეზა მეი: „დიდი ბრიტანეთი 23 რუს დიპლომატს გააძევებს“

რუსეთის დაზვერვის ყოფილი ოფიცრის სერგეი სკრიპალის მოწამვლასთან დაკავშირებით, დიდი ბრიტანეთი 23 რუს დიპლომატს გააძევებს.

ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ ბრიტანეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ოფიციალურმა მოსკოვმა არ უპასუხა ლონდონის მოთხოვნას განემარტა, თუ როგორ მოხვდა რუსეთში შემუშავებული მომწამლავი ნივთიერება დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე.

შეგახსენებთ, რომ ქალაქ სოლსბერის საავადმყოფოში მოწამლული გრუ-ს ყოფილი პოლკოვნიკი სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი 6 მარტს გადაიყვანეს.

66 წლის სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში რჩებიან.

2006 წელს მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლომ სერგეი სკრიპალს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში მსახურობისას 1990-იან წლებში სკრიპალი ბრიტანულმა დაზვერვამ გადაიბირა და ის ოფიციალურ ლონდონს სახელმწიფო საიდუმლოს შემცველ ინფორმაციას გადასცემდა.

2010 წელს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სკრიპალი და ჯაშუშობისთვის გასამართლებული კიდევ ორი პირი შეიწყალა და აშშ-ში დაკავებულ 10 ადამიანზე გაცვალა.

ტრამპი: „სკრიპალი, როგორც ჩანს, რუსებმა მოწამლეს“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ბრიტანეთის პრემიერ ტერეზა მეის დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა სკრიპალის საქმე იყო. საუბრის შემდეგ ტრამპმა განაცხადა:

– როგორც ჩანს, სკრიპალი რუსებმა მოწამლეს!

აშშ-ის პრეზიდენტმა მეტი დაკონკრეტება არ ისურვა და არ ჩამოთვალა, თუ რა ზომებს მიიღებს რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთი და, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული სამყაროს ლიდერი ამერიკა.

ბერეზოვსკის თანამებრძოლი ლონდონში მკვდარი იპოვეს

ინგლისის ტერიტორიაზე მცხოვრები პუტინის მოწინააღმდეგენი კვლავ გაურკვეველ ვითარებაში კვდებიან. ამჯერად ბერეზოვსკის თანამებრძოლის გლუშკოვის ჯერი დადგა. ის თავის ბინაში მკვდარი იპოვეს.

გლუშკოვის ცხედარი მისმა ქალიშვილმა აღმოაჩინა.

გაზეთ „კომერსანტის“ ცნობით, გუსკოვს ყელზე დახრჩობის აშკარა კვალი ამჩნევია. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობისსურვილი,შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და განმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ვლადიმირ ვაისმა შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 19 მარტიდან წლის სადებიუტო ამხანაგური მატჩებისთვის მზადებას იწყებს. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, თბილისში ლიტვასთან და ესტონეთთან დაგეგმილი შეხვედრებისთვის 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ერთი დებიუტანტია, ბელგიის საფეხბურთო კლუბ გენტის 18 წლის ფეხბურთელი გიორგი ჩაკვეტაძე. ამ მატჩებისთვის ასევე დაგეგმილი იყო ეროვნულ ლიგაში მოსასპარეზე რუსთავის მარჯვენა მცველის ლევან გეგეჭკორის გამოძახება, მაგრამ ტრავმის გამო ფეხბურთელი შემადგენლობის მიღმა აღმოჩნდა.

ვლადიმირ ვაისის რჩეულნი ლიტვასთან და ესტონეთთან სათამაშოდ არიან:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანჟი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (რიუ ავე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ხაბაროვსკი, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი, (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), ჯაბა ჯიღაური (ორდაბასი, ყაზახეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ბაჩანა არაბული (ბალმაზუივაროში, უნგრეთი).

ცნობილია კიდევ 10 ფეხბურთელის ვინაობა, რომელთაც ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს:

ნუკრი რევიშვილი (რუსთავი,), უჩა ლობჟანიძე (. სამტრედია), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), ბაქარ ქარდავა (დინამო თბ), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ტრნავა, სლოვაკეთი), სანდრო კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), ლადო დვალიშვილი (აშქელონი, ისრაელი), დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ირაკლი სიხარულიძე (სლოვაკეკო, ჩეხეთი).

საქართველოსა და ლიტვის საფეხბურთო ნაკრებთა შეხვედრა 24 მარტს ჩატარდება, ესტონეთს კი ჩვენი გუნდი 27 მარტს უმასპინძლებს.

ორივე შეხვედრა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 19 საათზე დაიწყება. გულშემატკივართათვის მატჩებზე დასწრება თავისუფალია.

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები უეფას ერთა ლიგის მოსამზადებელი ეტაპია. უეფას ერთა ლიგის გათამაშება 6 სექტემბერს იწყება.

ფიფამ, შესაძლოა, საბერძნეთი თავისი რიგებიდან მოკვეთოს

ფიფამ, შესაძლოა, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია ყველა საერთაშორისო ტურნირიდან მოხსნას. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციისათვის პაოკ-ის მფლობელ ივან სავიდისის საქციელი ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომელიც მოედანზე იარაღით შევარდა და მსაჯებს მოკვლით ემუქრებოდა.

ერთი ტურით ადრე კი, პაოკსა და ოლიმპიაკოსს შორის მატჩის დაწყებამდე, სტუმართა გუნდის მწვრთნელს ოსკარ გარსიას ტრიბუნიდან ნასროლი საკასო აპარატის რულონი სახეში მოხვდა. გარსია საავადმყოფოში გადაიყვანეს და თამაში გადაიდო.

საბერძნეთის სპორტის სამინისტრომ გადაწყვიტა, ეროვნული ჩემპიონატი გაურკვეველი ვადით შეაჩეროს.

საქმეში ჩარეულია ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ალექსის ციპრასი. ასევე სპორტის მინისტრი გიორგიოს ვასილიადისი:

– გადავწყვიტეთ, ჩემპიონატი გაურკვეველი ვადით შევაჩეროთ. წესების დაცვა ყველასთვის სავალდებულოა. ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს უეფასთან. ჩემპიონატი მანამდე არ განახლდება, სანამ ახალ წესებსა და რეგულაციებზე არ შევთანხმდებით, რომლებსაც ყველა დაიცავს.

თავად სავიდისი კი, რომელიც საქართველოში, კერძოდ კი წალკაშია დაბადებული, თავს დამნაშავედ მაინც არ გრძნობს და ბოლომდე ბრძოლას აპირებს:

– უკან დახევას არ ვაპირებთ. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას იმისთვის, რათა უკეთესი ჩემპიონატი მივიღოთ.

ფიფამ დაგმო სავიდისის საქციელი და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას შეუთვალა, რომ თუ კომპეტენტური ორგანოები საჭირო ზომებს არ მიიღებენ, ისინი საბერძნეთს საერთაშორისო ტურნირებიდან მოხსნიან.

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ მოიწონა გადაწყვეტილება ეროვნული პირველობის შეჩერების შესახებ.

პაოკი არეულობებში პირველი მერცხალი სულაც არ არის. 5 თებერვალს, საკუთარ მოედანზე ათენის აეკთან მარცხის შემდეგ, ოლიმპიაკოსის ფანებმა არეულობა მოაწყვეს, რის გამოც გუნდს 3 ქულა დააკლდა, 2 მატჩი კი ცარიელი ტრიბუნების თვალწინ ჩაატარა.

მილტონ ჰეიგი რუსეთთან მოგებულ შემადგენლობას ენდობა

2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრაში ბორჯღალოსნები 18 მარტს 16 საათზე, დინამო არენაზე ტრადიციულ მეტოქეს, რუმინეთს დაუხვდებიან მატჩში, რომელშიც შარშან დათმობილი ევროპის ჩემპიონის ტიტულის და ანთიმოზ ივერიელის თასის დასაბრუნებლად ერკინებიან.

ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის ოთხივე თამაში მოიგეს, სამი ბონუსით და სატურნირო ცხრილს 19 ქულით ლიდეროობენ. რუმინელები ესპანეთთან დამარცხდნენ და 14 ქულით მეორე ადგილზე არიან. ამრიგად, ერთი ბონუს ქულის აღების, ან ბონუსით არწაგების შემთხვევაშიც კი, რაგბი ევროპის ჩემპიონები გავხდებით.

შარშან რუმინეთმა ბუქარესტში სტატისტიკა გაგვიფუჭა, 7-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და 8:7 გამარჯვებით რაგბი ევროპის ჩემპიონატის ტიტულთან ერთად, საზიარო ანთიმოზ ივერიელის თასიც დაიტოვა. ბორჯღალოსნებს, სამწვრთნელო შტაბს და ქომაგებს, რევანში და ორივე თასის შინ დაბრუნება სწყურიათ დინამო არენაზეც მხოლოდ ლამაზი გამარჯვებისთვის იბრძოლებენ!

გასულ შაბათს რუმინელებმა ბელგიას უმასპინძლეს და 62:12 დაამარცხეს, ხოლო ბორჯღალოსნები კრასნოდარში რუსეთს ეწვივნენ და სტუმრად სარეკორდო სხვაობით, 29:9 სძლიეს.

საბედნიეროდ, კრასნოდარული მატჩის შემდეგ, რომლის მსვლელობისას სეტყვაც წამოვიდა, არც ერთი ბორჯღალოსანი არ დაშავებულა და მწვრთნელების გადაწყვეტილებით, მომავალი შეხვედრისთვის ისევ ის 29 მოთამაშე მოემზადება, რომლებმაც მთელი ერთი კვირა ერთად ივარჯიშეს.

რადგან რუმინელებთან მატჩი კვირასაა ჩანიშნული, კრასნოდარიდან შინ დაბრუნებულმა ბორჯღალოსნებმა კვირა-ორშაბათი დასვენებას და აღდგენას დაუთმეს და მზადებას სამშაბათიდან შეუდგნენ.

რუმინელებს 1998 წლიდან ვეთამაშებით და თავდაპირველად უპირატესობა მათ მხარეს იყო, თუმცა სიტუაცია 2007 წლის შემდეგ შეიცვალა. ვლახებთან ჯამში ჩატარებული 21 შეხვედრიდან 11 ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა, 9-ჯერ მეტოქემ იმარჯვა და ერთი ჯახი ფრედ დასრულდა. 2007 წლის შემდეგ რუმინელებს 12-ჯერ შევერკინეთ, 9-ჯერ დავამარცხეთ და ერთხელ ფრეს დავყაბულდით.

მილტონ ჰეიგის შერჩეული გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

უკანა ხაზი: მერაბ კვირიკაშვილი, სანდრო თოდუა (ორივე ლელო სარასენსი), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), სოსო მათიაშვილი (კრასნი იარი, რუსეთი), ანზორ სიჭინავა (აკადემია), დავით კაჭარავა (ენისეი, რუს), ლაშა მალაღურაძე (კრასნი იარ, რუსეთი), გიორგი კოშაძე (ხარები), გიორგი კვესელაძე (არმაზი), ლაშა ხმალაძე (ბათუმი), რევაზ ჯინჭველაშვილი (არმაზი), ვასილ ლობჟანიძე (ბრივი, საფრანგეთი), გელა აფრასიძე (მონპელიე, საფრანგეთი);

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), კახა ასიეშვილი (ბრივი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (ლოკომოტივი), ბადრი ალხაზაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ორივე ტულონი, საფრანგეთი), ანტონ ფეიქრიშვილი (კარდიფი, უელსი), გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსე, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (ბრისტოლი, ინგლისი), შალვა სუთიაშვილი (ანგულემი, საფრანგეთი), ნოდარ ჭეიშვილი (შონბრი, საფრანგეთი), ვიტო კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), ლაშა ლომიძე (ლონდონ აირიში, ინგლისი), ოთარ გიორგაძე (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი ცუცქირიძე (ორიაკი, საფრანგეთი), მიხეილ გაჩეჩილაძე (ენისეი, რუსეთი).

სევილიელმა დალაქებმა მანჩესტერი გაკრიჭეს

მანჩესტერი-სევილია 1:2

მანჩესტერი. ოლდ ტრაფორდი

0:1, 0:2 ბენ იედერი (74, 78), 1:2 ლუკაკუ (84)

მანჩესტერი: დე ხეა, ვალენსია (მატა 77), ბაიი, სმოლინგი, იანგი, მატიჩი, ფელაინი (პოგბა 60), ლინგარდი (მარსიალი 77), რაშფორდი, სანჩესი, ლუკაკუ

სევილია: რიკო, მერკადო, კიაერი, ლანგლე, ესკუდერო, ნზონზი, ვასკესი (პისარო 87), ბანეგა, კორეა (გეისი 89), სარაბია, მურიელი (ბენ იედერი 72)

ორმატჩიანი დუელის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები მეორე შეხვედრის მოკლე მონაკვეთში, 20 წუთში გადაწყდა. ამ დროში მანჩესტერმა და სევილიამ ერთმანეთს 3 გოლი გაუტანეს. მეოთხედფინალში გამსვლელი კი სევილია აღმოჩნდა.

ანდალუსიელების სვლა ჩემპიონთა ლიგაზე სენსაციური მოჩანს, მაგრამ თუ მატჩების მიმდინარეობას კარგად შევხედავთ, ვინჩენცო მონტელას გუნდის მეოთხედფინალში გასვლა დამსახურებულია და არა სიურპრიზი. ორივე შეხვედრაში სევილიელები უფრო მწვავედ, აგრესიულად და კრეატიულად გამოიყურებოდნენ, ხოლო მანჩესტერი შეშინებული ჩანდა. ჟოზე მოურინიო თითქმის მიეჩვია შეტევის გარეშე მატჩების მოგებას, ხოლო როდესაც მიხვდა, რომ ახალი, ცოცხალი ძალები უნდა შეეშვა მოედანზე, გვიან იყო.

ყველაფერი მონტელას მიგნების დამსახურებაა. შეცვლაზე შესულმა ვისამ ბენ იედერმა 6 წუთში დუბლი გაიფორმა. 2 წუთის შესული იყო მინდორზე, როდესაც ანგარიში გახსნა, მალევე მეორეც დაუმატა. მანჩესტერელებს 3 გოლის გასატანად საათის მეოთხედი ჰქონდათ დარჩენილი, თუმცა, მხოლოდ ერთი გაიტანეს და აწი თუ რამეზე ფიქრი უნდათ, მხოლოდ ინგლისის თასია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვისამ ბენ იედერი

უყვარს ამ ბიჭს ინგლისელებისთვის გოლის გატანა. ლივერპულს 3 გაუტანა, მანჩესტერს – 2. დუბლი 6 წუთში – ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. გარდა ამისა, მუდმივად წნეხის ქვეშ ჰყავდა მანჩესტერელი მცველები.

რომა-შახტარი 0:1

რომი. ოლიმპიკო

1:0 ჯეკო (52)

რომა: ალისონი, ფლორენცი, მანოლასი, ფასიო, კოლაროვი, დე როსი, სტროოტმანი, უნდერი (ჟერსონი 60), ნაინგოლანი, პეროტი, ჯეკო (ელ შაარავი 89)

შახტარი: პიატოვი, ბუტკო, რაკიცკი, ორდეცი, ისმაილი, სტეპანენკო (პატრიკი 74), ფრედი, მარლოსი (დენტინიო 82), ტაისონი, ბერნარდი, ფერეირა

გაძევება: ორდეცი (79)

კარგი შანსი ჰქონდა ქართველ ფეხბურთელ დავით ხოჭოლავას, მეოთხედფინალში ეთამაშა, მაგრამ დონეცკის შახტარმა ეს უფლება რომას დაუთმო. პაულო ფონსეკას შეგირდებისთვის გამარჯვება ხარკოვში და კარგად ჩატარებული დასკვნითი ნაწილი რომში, საკმარისი არ აღმოჩნდა.

დონეცკელები მალე შეეჩვივნენ ოლიმპიკოს სტადიონს. შესვენებამდე სტუმრები კარგად იჭერდნენ ბურთს და თავდაჯერებულები ჩანდნენ. პიატოვის კართან სიმწვავე ნაკლებად იქმნებოდა. ასევე დაიწყო მეორე ტაიმიც, მაგრამ 52-ე წუთზე სტროოტმანის შესანიშნავი პასის შემდეგ ედინ ჯეკომ ანგარიში გახსნა.

79-ე წუთზე ჯეკო პირისპირ უნდა გასულიყო პიატოვთან, მაგრამ ორდეცმა ბოლო იმედის ჯარიმით გააჩერა და მოედნიდან გააძევეს. ორდეცის გაძევება იქნებოდა სასტარტო შემადგენლობაში ხოჭოლავას შანსი, მაგრამ... თითქოს მის გაძევებას ელოდა შახტარიო და დასკვნითი 10 წუთი 10 კაცით გამოცოცხლდნენ. თუმცა, ეუსებიო დი ფრანჩესკოს გუნდმა მოახერხა კარის დაცვა და სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გავიდა მეოთხედფინალში.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ედინ ჯეკო

ჯგუფურ ეტაპზე ბოსნიელი ფეხბურთელი არცთუ შედეგიანი იყო, პლეი ოფში კი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. ჯეკო მთელი თამაშის განმავლობაში აქტიური იყო, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში. გოლის გარდა საგოლე მომენტიც ჰქონდა და ორდეცის გაძევებაც მისი დამსახურებაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქურდი ფეხების სუნმა გასცა

ჩინეთის ქალაქ ლინტოუში, რომელიც პროვინცია ანხოიში მდებარეობს, ქურდი, რომელიც სხვის ბინაში შეიპარა, საკუთარი ფეხების სუნმა გასცა.

მძარცველმა ბინაში იმ დროს შეაღწია, როდესაც იქ არავინ იმყოფებოდა. იმისთვის, რომ კვალი არ დაეტოვებინა, მან ფეხსაცმელი გაიხადა. სანამ ის ძვირფასეულობას ეძებდა, სახლის პატრონი დაბრუნდა. მან ხმაური გაიგონა და საწოლის ქვეშ დაიმალა.

მისი ფეხების სუნი ისეთი მკვეთრი აღმოჩნდა, რომ სახლის პატრონმა შეიგრძნო. მან სწრაფად მიაგნო დაუპატიჟებელ სტუმარს და მისი დაჭერა სცადა, მაგრამ ქურდმა გაქცევა მოახერხა. ეჭვმიტანილი საკუთარ სახლში დაბრუნდა, სადაც ის რამდენიმე საათის შემდეგ პოლიციამ დააკავა.

ღორმუცელა ჩინელს თევზის ფხები უკანალში გაეჭედა

ჩინელმა ექიმებმა პაციენტის უკანალიდან 100-ზე მეტი თევზის ფხა გამოიღეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პროვინცია სიჩუანის ხანდაზმულმა მცხოვრებმა საავადმყოფოს კუჭში გასვლის დროს მწვავე ტკივილების ჩივილით მიმართა. აღნიშნული პრობლემა მას შემდეგ წარმოიშვა, როდესაც მან მოხარშული კარპი ძვლებიანად შეჭამა. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ მის უკანა გასასვლელში ათეულობით თევზის ძვალი იყო გაჭედილი.

– ჩვენ პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პაციენტს ამდენი თევზის ძვალი გამოვაცალეთ, – ამტკიცებს ექიმი ხუან ჩუინი, – აქამდე მხოლოდ ათი ძვალი თუ ამოგვიღია პაციენტისთვის.

ექიმები ორი საათის განმავლობაში ცდილობდნენ უკანალში გაჭედილი ძვლების გამოღებას.

– იმის გამო, რომ ძალიან ბევრი ძვალი იყო, ხოლო მისი უკანა გასასვლელი ძლიერ იყო გასიებული, მათ ერთბაშად გამოღებას ვერ ვახერხებდით, – განმარტა ხუან ჩუინმა, – პაციენტი სახლში გავგზავნეთ, რათა დაისვენოს და ვნახოთ, დანარჩენი ძვლები იქნებ თავისით გამოვიდეს.

ეკლესიაზე მეხის დაცემას 15 ადამიანი ემსხვერპლა

რუანდაში 15 ადამიანი დაიღუპა მეხისგან, რომელიც ეკლესიას დაეცა. ამ ინფორმაციას გამოცემა ვაშინგტონ პოსტი ავრცელებს.

აღნიშნული ინციდენტი ქვეყნის სამხრეთ პროვინცია ნიარუგურუში მოხდა. მეხი დაეცა მეშვიდე დღის ადვენტისტების ეკლესიას, სადაც წირვას 150-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. სხვა დასახლებული პუნქტიდან ჩამოსული გუნდის გამოსვლის გამო იმ დღეს ღვთისმსახურება ჩვეულებრივზე მეტხანს გაგრძელდა.

– მოულოდნელად გაისმა გრუხუნის ხმა, – განუცხადა ამერიკულ გამოცემას ეკლესიის უხუცესმა. ელექტრული განმუხტვის გამო ადგილზე მყოფთა დიდი უმრავლესობა ძირს დაეცა. რამდენიმე ადამიანი ადგილზე დაიღუპა, კიდევ რამდენიმე საავადმყოფოში მიყვანამდე. მოგვიანებით, მიღებული ტრავმებისგან კიდევ სამი ადამიანი გარდაიცვალა.

საავადმყოფოში 140-ზე მეტი ადამიანი იქნა გადაყვანილი. მათი უმრავლესობა უკვე გაეწერა, თუმცა 17 ადამიანი ისევ საავადმყოფოში რჩება, ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

სულების განდევნის რიტუალისას შვეიცარიელის ქალიშვილმა სული განუტევა

შუასაუკუნეების ეპოქის მოყვარულ შვეიცარიელს საკუთარი ქალიშვილის ცემასა და სიკვდილში დასდეს ბრალი, რათა მისი სხეულიდან ბოროტი სულები გამოედევნა.

ინციდენტი გერმანულენოვანი კანტონის ტურგაუს კომუნა ვაგენჰაუზენში მოხდა, რომელიც ქვეყნის

ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 25 წლის ვანესა და მამამისი კლაუსი ახალ წელს მისი მეგობარი მამაკაცის კურტის სახლში ზეიმობდნენ. გოგონამ მამა მხოლოდ 23 წლის ასაკში გაიცნო, ვინაიდან დედა, რომელმაც ის მარტომ გაზარდა, მამას უმალავდა. მათ მალე მოაგვარეს ურთიერთობა, თუმცა ახალი წლის წინ მათ შორის კამათი მოხდა, რისი მიზეზიც ქალიშვილის მიერ ბავშვების ყოლის სურვილი გახდა.

მამამისმა განუცხადა, რომ მისი აგრესია, შეპყრობილობითაა გამოწვეული და გადაწყვიტა, მისგან ავი სულები განედევნა. ამისთვის ის ქალიშვილს შიშველი ფეხებით შედგა, ხოლო როდესაც შვილმა წინააღმდეგობის გაწევა დაუწყო, მას რამდენჯერმე ჩასცხო მუშტი და მუცელშიც დაარტყა, რამაც შიდა სისხლის დენა და ნაწლავების დახეთქვა გამოიწვია.

მიუხედავად ასეთი დაზიანებებისა, გოგონამ საშხაპეს მიაშურა, სადაც უგონოდ დაეცა. მამამ გადაწყვიტა, თავად დახმარებოდა ქალიშვილს და პირი გაუხსნა, რომ ესუნთქა. როდესაც კურტი სახლში დაბრუნდა, ექიმების გამოძახება უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა.

ქალაქ ფრაუენფელდის სასამართლო კლაუსისთვის 14 წლით პატიმრობას ითხოვს, არაგანზრახმკვლელობისა და ცხედრის შეურაცხყოფისთვის. სასამართლო პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

აფრიკელებმა სექს-თოჯინებს ომი გამოუცხადეს

ზამბიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ბრძოლას გამოუცხადებს სექს-თოჯინებს, რომლებიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივმა სექს-შოპებმა მიიღეს.

ზამბიის ეროვნული ხელმძღვანელობისა და რელიგიის საქმეთა მინისტრმა გოდფრიდ სუმაილიმ განაცხადა, რომ სექს-თოჯინების გაყიდვა ან გამოყენება უკანონოა. ისინი ექვემდებარება კანონს, რომელიც კრძალავს დამზადებას, ფლობას, შემოტანას, გაყიდვას და დემონსტრირებას ისეთი ნივთების, რომლებიც ღირსებისთვის შეუფერებელია. კანონის დარღვევა ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

სუმაილის თქმით, სექს-თოჯინები ეწინააღმდეგება ზამბიის ტრადიციებსა და პრინციპებს.

– ღმერთმა შექმნა მამაკაცი და ქალი სექსუალური ურთიერთობისთვის, მაგრამ ამის გაკეთება უსულო საგნების გამოყენებით ამორალურია როგორც მამაკაცების, ისე ქალებისთვისაც, – აღნიშნა მან.

ბერმუდის კუნძულებზე ათასი კილომეტრის დაშორებით ოკეანეში ჩაგდებული ბოთლი იპოვეს



ბიჭმა ბერმუდის კუნძულებიდან იპოვა გზავნილი, რომელიც ბოთლში იყო მოთავსებული და რომელმაც 1,6 ათასზე მეტი კილომეტრი იცურა.

12 წლის ჯოზეფ ვალისმა ბოთლი ნაგვის გროვაში აღმოაჩინა, როდესაც თანაკლასელებთან ერთად პლაჟს ასუფთავებდა. მან ბოთლის შიგნით გრაგნილი შენიშნა და გადაწყვიტა, ის მამისთვის ეჩვენებინა.

მათ ერთად გახსნეს ბოთლი და ულტრაიისფერი ნათურის დახმარებით გაშიფრეს წერილის ტექსტი. როგორც გაირკვა, ის ფრანგული იახტიდან 2014 წლის აპრილში გადააგდეს ბერმუდის კუნძულებიდან 1,6 ათასზე მეტი კილომეტრით დაშორებულ ადგილზე.

წერილის ავტორი ითხოვდა, მისი მპოვნელი მას დაკავშირებოდა. ჯოზეფ ვალისის თქმით, მან და მამამისმა მითითებულ ელექტრონულ მისამართზე წერილი გააგზავნეს, თუმცა პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

ასტროპროგნოზი

15 მარტისთვის

ვერძი – იყავით გულმოწყალე, არ იძუნწოთ. დაეხმარეთ ადამიანებს და თავს გაცილებით უკეთესად იგრძნობთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტისათვის. ენერგია გემატებათ. **ტყუპები** – მზარდი სასიცოცხლო პოტენციალი ჩანაფიქრის განხორციელებაში გეხმარებათ. უკან არ დაიხიოთ. **კირჩხიბი** – საქმიან შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ მიიღებთ. დაიტვირთეთ ფიზიკურად. **ლომი** – უსიამოვნო ინფორმაცია დაგძაბავთ. ემოციები მოთოკეთ და თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ქალწული** – პროფესიულ სფეროში არ იაქტიუროთ. უმჯობესია, გაისეირნოთ ბუნების წიაღში, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. **სასწორი** – მიზანს საკმაოდ სწრაფად მიაღწევთ. არ დაივიწყოთ ახლო ნათესავები. მათ თქვენი თანადგომა სჭირდებათ. **ღრიანკალი** – სიამაყე და სიჯიუტე უსიამოვნებას შეგამთხვევთ. იყავით უფრო ლმობიერი და დამთმობი. **მშვილდოსანი** – დაუმთავრებელ საქმეებს ნუ დაიგროვებთ. კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისა და დასვენებისათვის. **თხის რქა** – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **მერწყული** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **თევზები** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. ფინანსებს არ უჩივით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. მუნჯი კინოს კომიკოსი; 2. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 3. მაღალი ხარისხის ქვანახშირი; 4. მათემატიკური ორწევრი; 5. ფულის ერთეული უკრაინაში; 9. მწერი განვითარების ერთ-ერთი სტადიაში; 10. ელექტროწინაღობის საზომი ხელსაწყო; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ელექტრონული მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 16. მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრინველი; 19. ბეთჰოვენის ოპერა; 20. მდინარე პრაღაში; 21. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი-დიდოსტატი.

თარაზულად: 6. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 7. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 8. ბრაზილიის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 11. ამერიკელი მრეწველი, საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი; 12. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 17. მათემატიკის ნაწილი; 18. ჩაის დეგუსტატორი; 22. ნახევარკუნძული აშშ-ში; 23. საავტომობილო საბურავების გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 24. ორი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირი; 25. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კვებეკი; 2. ჯოკონდა; 3. ალგეთი; 4. ნივეა; 5. ლინოტიპი; 7. ფხა; 11. კოპიჭი; 15. ითხვისი; 16. წიქარა; 17. ბიეფი; 18. ქცევა; 20. ლანცა; 22. ჟირო.

თარაზულად: 6. ვაგიფი; 8. მორთული; 9. შევრონი; 10. ბასკაკი; 12. გოთუა; 13. აზოტი; 14. კამპრადი; 19. მუხთალი; 21. მირაჟი; 23. ციცქა; 24. აფიორა; 25. ფსირცხა; 26. ჩასპანდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პეტარდა; 2. პროტონი; 3. ამირეჯიბი; 4. კორომი; 5. მიკოზი; 9. წაბლი; 10. გრაფიტი; 14. ბერსალიერი; 15. სამშვილდე; 16. ბოტეგა; 19. ბორხესი; 20. სურამი; 21. ანგარი.

თარაზულად: 6. დენდრარიუმი; 7. კომოციო; 8. ბატუტი; 11. საკმაზი; 12. ენდრო; 13. წირქოლი; 17. ბარომეტრი; 18. დრომადერი; 22. შუშპარი; 23. გონდოლა; 24. მსტოვარი; 25. დედვეიტი.

შოთა გლურჯიძე: „ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა“

– ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა, საქართველო, ეს ქვეყანა ჩვენს ფიქრებში და გულშია და უნდა გაცხადდეს, – აცხადებს მხატვარი შოთა გლურჯიძე:

– ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა, საქართველო, ეს ქვეყანა ჩვენს ფიქრებში და გულშია და უნდა გაცხადდეს. მარადიული საქართველო, ქართული ენით, კულტურით, ოჯახით, ყოფით, კავკასიური ადათითა და იდეალებით. ეს არის ჩვენი არსებობის საზრისი და სტიმული, ესაა ჩვენი ამქვეყნად ყოფნის აზრი!

ქეთი ორჯონიკიძე კომპლექსიანებმა შეაწუხეს

მომღერალი ქეთი ორჯონიკიძე დაკომპლექსებულმა ადამიანებმა შეაწუხეს. ამის გამო მომღერალმა გადაწყვეტილება მიიღო, მათთან ურთიერთობა არა მარტო რეალურ ცხოვრებაში, არამედ სოციალურ ქსელშიც შეწყვიტოს:

– სექსისტებმა, რასისტებმა, ჰომოფობებმა, ქსენოფობემა და მსგავსი კომპლექსების მქონე ადამიანებმა, რომელთა მომრავლებული პოსტებიც, განსაკუთრებით რასისტული ამ ბოლო დროს, ძალიან გამაღიზიანებელია და მიკარგავს როგორც ფეისბუქზე შემოსვლის სურვილს, ასევე, რაც მთავარია, მირღვევს სულიერ სიმშვიდეს. უმორჩილესად გთხოვთ, წაშალოთ თქვენი თავი ჩემი მეგობრების სიიდან, რათა არ გავაღიზიანოთ ერთმანეთი. მადლობა გაგებისათვის. პატივისცემით. მე.

ბაკურ ბაკურაძემ ძმასთან ერთად ცეკვის ანსამბლი ჩამოაყალიბა

დიზაინერმა ბაკურ ბაკურაძემ, რომელიც ბოლო დროს აქტიურად აღარ ჩანს, ძმასთან, ბესო ბაკურაძესთან ერთად, ახალი ცეკვის ანსამბლი ჩამოაყალიბა.

ბესო მოცეკვავეა, ბაკური დიზაინერი. ძმებმა ახალი ანსამბლი შექმნეს და მას „არტლაბორატორია“ უწოდეს. ანსამბლმა ნახევარი წლის ნაშრომი უკვე წარადგინა და ინტერნეტპრემიერამაც დიდი მოწონებით ჩაიარა.

„ქართული“, „ყირამალა“ და „ჰარალო“ – ეს იმ ცეკვების ჩამონათვალია, რომლებიც ანსამბლმა მაყურებელს შესთავაზა.

ბაკურ ბაკურაძე:

– გაიცანით „არტლაბორატორია“, ახალი ქართული ანსამბლი და მისი ნახევარი წლის ნაშრომი! უამრავი ადამიანისათვის მაქვს გადასახდელი მადლობა, თუმცა ახლა საზოგადოებას ამით არ დავლლი.

დღეიდან მთელი თვის მანძილზე ყოველდღიურად წარმოგიდგენთ ახალ ნამუშევარს და იმედს ვიტოვებ, ის ენერგია, რაც ჩავდეთ ამ ქართულ საქმეში, თქვენზეც გადმოვა და სიამოვნებას მოგანიჭებთ!

საქართველო

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საათების კონტრაბანდის ფაქტი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის საბაჟო კონტროლისგან მალულად გატანის ფაქტი გამოავლინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ თურქეთის მოქალაქეს, მისივე მართვის ქვეშ არსებულ ავტომანქანაში მოწყობილი სპეციალური სამალავით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გადაჰქონდა 839 ერთეული სხვადასხვა დასახელების მაჯის საათი, რომლის საერთო საბაჟო ღირებულება 26.000 ლარს აღემატება.

უწყების ინფორმაციით, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით.

ილია და კირილე ზდანევიჩების კედლის მხატვრობა განადგურებულია



თბილისში, რუსთაველის 16 ნომერში მდებარე „ოფიცერთა სახლის“ სარდაფში ცნობილი მხატვრების ილია და კირილე ზდანევიჩების მიერ 1919 წელს შესრულებული კედლის მხატვრობა განადგურებულია.

პოლონური წარმოშობის ქართველი მხატვრის, კირილე ზდანევიჩის მიერ შესრულებული კედლის მოხატულობა უნიკალურია არა მხოლოდ მისი მაღალი მხატვრული ფასეულობის, არამედ საერთო კულტურული კონტექსტის გამო, 1918 წელს თბილისში, რუსთაველის გამზირის №16-ში მდებარე სახლის სარდაფში დაარსებული კაფე „არგონავტთა ნავი“ ტფილისური კულტურული ცხოვრებისა და ქართული ავანგარდის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. ამ კაფეში კირილე ზდანევიჩის მიერ შესრულებული კედლის მხატვრობა კი უნიკალური იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ მსოფლიოში ძალიან მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი ზდანევიჩის მიერ შესრულებული კედლის მხატვრობა, საქართველოში კი ის ერთადერთი იყო.

კედელი, სადაც მხატვრობა იყო შესრულებული, გათეთრებულია და შენობაში ტანსაცმლის მაღაზიაა გახსნილი.

მომხდართან დაკავშირებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ განაცხადა, რომ აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილი და სამხატვრო აკადემიის მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფის წევრები. სწორედ ამ რესტავრატორების მიერ და სააგენტოს ორგანიზებითა და დაფინანსებით, 2 წლის წინ ჩატარდა კირილე ზდანევიჩის მიერ შესრულებული კედლის მხატვრობის შემორჩენილი ფრაგმენტების კვლევითი ანალიზი.

ამჟამად ოფიცერთა სახლის პირველი სართულისა და სარდაფის ტერიტორია კერძო საკუთრებაშია, ხოლო ფართის მეიჯარე აცხადებს, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის რემონტი დასრულებული იყო და პანო აღარ არსებობდა.

– როგორც გაირკვა, ისტორიულ პანოზე ფიზიკური სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შესახებ ახალ მესაკუთრეს არც სააგენტოსთვის და არც მერიის შესაბამისი სამსახურებისთვის არ უცნობებია და შეუთანხმებია, რაც ცალკე სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს, რათა უმოკლეს დროში მოხდეს მომხდარის გამოძიება და სამართალდამრღვევის მიმართ გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, – განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ანთიძემ.

„ქუჩის ბიჭები“ 25 წლისაა

ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ 25 წლისაა. ამ ხნის მანძილზე მომღერლებმა ერთგულ მსმენელს არაერთი ჰიტი შესთავაზეს.

ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ზურა ხაჩიძის განცხადებით, იუბილეს აღნიშვნის დიდი სურვილი აქვთ, თუმცა ხელს ფინანსური პრობლემები უშლით.

ზურა ხაჩიძე:

– ამ წელს გვისრულდება 25 წელი. ბევრი მწერს, რომ გავაკეთოთ დიდი კონცერტი. ეს რთულია არა შემოქმედებითი თვალსაზრისით, არამედ ფინანსურად. თუ ხელშეწყობა გვექნება ფინანსური, აუცილებლად წლის ბოლოს, დეკემბერში გავმართავთ გრანდიოზულ შოუ-კონცერტს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ახალგაზრდული ნაკრები მზადებას იწყებს

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს 23 და 27 მარტს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ორი მატჩი ელის.

გია ცეცაძის გუნდი ჯერ ფარერებს უმასპინძლებს, შემდეგ – დანიას. ორივე შეხვედრა გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

მთავარმა მწვრთნელმა უკვე შეარჩია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებსაც ზემოხსენებული მატჩებისთვის მოამზადებს. ნაკრები შეკრებაზე 19 მარტიდან გადავა.

მეკარეები: ლაზარე კუპატაძე (საბურთალო), დემეტრე ბულისკერია (დინამო თბ), გიორგი ჩოჩიშვილი (ზლატე მორავცე, სლოვაკეთი);

მცველები: გაგი მარგველაშვილი (საბურთალო), დავით კობოური (დინამო თბ), ანდრო გიორგაძე (ვორსკლა, უკრაინა), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), გიორგი ქანთარია (ნემანი, ბელორუსი), ცოტნე ნადარაია (საბურთალო), გურამ გიორბელიძე (სიონი), თამაზ ცეცხლაძე (სებაილი, აზერბაიჯანი), ლუკა ნადირაძე (ოლიმპიკი, უკრაინა);

ნახევარმცველები: ვლადიმერ მამუჩაშვილი (საბურთალო), აკაკი შულაია, ოთარ კიტეიშვილი (ორივე დინამო თბ), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა);

თავდამსხმელები: გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), ვატო არველაძე (ლოკომოტივი), ბექა მიქელთაძე (რუსთავი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 მარტისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4328	ევრო — 2.9953
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3714	100 რუსული რუბლი — 4.2803

ამინდის პროგნოზი 15 მარტისთვის

6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

8 მარტიდან

60 ამბავი

უცხოეთში დაკარგული ქართველები

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

15 მარტიდან

100 ამბავი

მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

სპინერები ევროპაში სახიფათოდ აღიარეს

ევროპულმა კომისიამ სპინერები ჯანმრთელობისთვის სახიფათო არასაკვები საქონლის სიაში შეიტანა. ამის თაობაზე საუბარია ორგანიზაციის ყოველწლიურ მოხსენებაში.

სათამაშო შევიდა პროდუქტებზე სწრაფი შეტყობინების სისტემაში, რომელიც ამა თუ იმ რისკის შემცველია. ეს სია ევროკავშირის ქვეყნებს საშუალებას აძლევს, ოპერატიულად გაცვალონ ინფორმაცია ასეთ საქონელზე და ისინი დაუყოვნებლივ ამოიღონ გაყიდვიდან. თუ რომელიმე ქვეყანაში ნივთი არცთუ უხიფათოდ აღიარეს, ინფორმაცია ამის შესახებ სხვა ქვეყნებშიც დაუყოვნებლივ ვრცელდება.

სპინერი ამ ჩამონათვალში იმ მცირე დეტალების გამო მოხვდა, რომელიც შესაძლოა ბავშვს გადაეყლაპოს. ანგარიშში განმარტებულია, რომ ეს განსაკუთრებით ეხება მოდელებს, რომლებიც ელექტრონათებითაა აღჭურვილი. მათში გამოყენებულია, პატარა ელემენტები, რომლებსაც შეუძლით საყლაპავის ან ნაწლავების წვა გამოიწვიონ ამ ორგანოებში მოხვედრის შემთხვევაში.

ამ სიაში ასევე მოხვდა რამდენიმე პოპულარული საბავშვო მანქანა და მოტოციკლი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ცოლი კატასავითაა!

– ისეთივე მოქნილი, გრაციოზული და ალერსიანი?

– არა, სულ ფეხებში მებლანდება!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ვინ არის პესიმისტი?

– პესიმისტია ადამიანი, რომელიც ქუჩის გადასასვლელზე, სადაც ცალმხრივი მოძრაობაა, გადასვლის წინ ჯერ ერთ მხარეს გაიხედავს, მერე მეორე მხარეს.

– ეგ პესიმისტი კი არა, ქართველია.

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

– არ ფიქრობთ, რომ ამჟამად კინოში უფრო მეტი სექსი და ძალადობაა?

– არ ვიცი, კინოში მე ეკრანს მივჩერებივარ და დარბაზში რა ხდება, არ დავინტერესებულვარ.

•••

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორს ახალბედა ეკითხება:

– თუ არც ძირითადი და არც სათადარიგო პარაშუტი არ გაიხსნება, მიწამდე რამდენხანს ვიფრენ?

– მთელ შენ დარჩენილ ცხოვრებას...

•••

თვითმფრინავის ბორტგამცილებელმა გოგონამ შენიშნა, რომ მგზავრი მამაკაცი ცახცახებს და ფრჩხილებს იჭამს. გოგონა მასთან მივიდა და ეკითხება:

– ერთი ჭიქა კონიაკი ხომ არ მოგიტანოთ?

მცირე ყოყმანის შემდეგ მამაკაცმა უპასუხა:

– კარგით, მომიტანეთ.

მცირე ხნის შემდეგ ბორტგამცილებელმა შენიშნა, რომ მამაკაცი იგივე მდგომარეობაშია. მივიდა და ისევ კონიაკი შესთავაზა. კაცმა თავი დაუქნია.

თვითმფრინავის სალონის მესამედ შემოვლის დროს ბორტგამცილებელი ხედავს, რომ მამაკაცი ქვითინებს. ბორტგამცილებელმა ჩაილაპარაკა:

– პირველად ვხედავ, რომ ვინმეს ფრენის ასე ეშინოდეს.

– ფრენის კი არ მეშინია, სმისთვის თავის დანებებას ვცდილობ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ჯეიმი კარაგერი სეზონის ბოლომდე ტელევიზიაში აღარ იმუშავებს



ჯეიმი კარაგერი დროებით გაათავისუფლეს ტელევიზიიდან და სეზონის ბოლომდე ის აღარ იმუშავებს სკაი სპორტზე.

ამის მიზეზი ყველასთვის ცნობილია. კარაგერმა მანჩესტერ იუნაიტედის ფანს შეაფურთხა და ეს ფაქტი კამერებმა დააფიქსირეს. ამის გამო კარაგერმა რამდენჯერმე მოიხადა ბოდიში, მაგრამ მისი საქციელი მაინც მიუღებლად ჩათვალეს, ამიტომ ის დროებით განთავისუფლებულია.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, დაუბრუნდება თუ არა ტელევიზიაში სამსახურს ჯეიმი კარაგერი მომავალ სეზონში.

დიდიე დროგბა კარიერას ოფიციალურად დაასრულებს

ლეგენდარული აფრიკელი ფეხბურთელი დიდიე დროგბა სეზონის ბოლოს კარიერას ოფიციალურად დაასრულებს. რამდენიმე დღის წინ დროგბა 40 წლის გახდა და მან თქვა, რომ დროა, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს:

– ფეხბურთი ძალიან მიყვარს და ყოველთვის ასე იქნება. ვამაყობ იმით, რასაც მივაღწიე და მიხარია, რომ ჩემი გოლებით მაყურებელს ვაბედნიერებდი. სავარაუდოდ ფეხბურთში დავრჩები, რადგან მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

დროგბამ სახელი ჩელსიში თამაშით გაითქვა, სადაც ის 2004-2012 წლებში ასპარეზობდა.

დიეგო სიმეონე მოსკოვში რთულ შეხვედრას ელის

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ განაცხადა, რომ ის მოსკოვში ლოკომოტივის წინააღმდეგ რთულ შეხვედრას ელის. ამისი მთავარი მიზეზი სიცივე და მძიმე პირობებია, რომლებშიც გუნდებს მოუწევთ თამაში.

ატლეტიკომ პირველი შეხვედრა 3:0 მოიგო, მაგრამ სიმეონეს თქმით, ყველაფერი არ დასრულებულა.

– მოსკოვში რთულ პირობებში მოგვიწევს თამაში და ყურადღებით უნდა ვიყოთ. წინ 90 წუთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, – განაცხადა დიეგო სიმეონემ.

მოამზადა ბექა გოგისაშვილმა

ჯოსვორდი ১



შვეულად: 1. საარტილერიო იარაღი; 2. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი, ირლანდიელი მექანიკოსი; 3. შავი და თეთრი ფერის შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 4. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 5. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 7. ბრიტანელი დრამატურგი, მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში; 16. ქართული სამშენებლო კომპანია; 17. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 20. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 22. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი.

თარაზულად: 6. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 8. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 9. პატარა სამკუთხა ალამი; 10. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ქვეწარმავლის შხამი; 13. იაპონური აბანო; 14. მდინარე აშშ-ში; 19. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 21. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ცენტრი; 13. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 24. ჩვილი ბავშვის საწოლი; 25. შენობის ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება; 26. ზღვისპირა კურორტი საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა